პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 6 (11312)
ხუთშაბათი, 8 იანვარი, 1959 წ.
ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

გუშინ, 7 იანვარს, გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ი ს მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

შინაარსი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

15-დან 19 დეკემბრამდე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“ განხილვას. დეკემბრის პლენუმი ჩვენი პარტიის ისტორიაში შევა როგორც ღირსშესანიშნავი მიჯნა, რომელიც აჯამებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის განხორციელებისათვის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პარტიის ლენინური გენერალური ხაზის გამარჯვებისათვის საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის შედეგებს.

პლენუმი, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა იგი სწორად დაახასიათა, გახდა პარტიის პოლიტიკური ანგარიში ხალხის წინაშე სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ტრიბუნიდან გამოქვეყნდა იმ უდიდესი შემოქმედებითი მუშაობის შედეგები, რომელსაც პარტია ახორციელებდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ხუთ წელიწადში მოხდა გიგანტური ნახტომი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რასაც, უსათუოდ, უდიდესი საშინაო და საგარეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ მკვეთრად გადიდდა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოება. პარტიამ განახორციელა გაბედული გადაწყვეტილება, და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის საბრძოლველად დარაზმა ხალხი. 36 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებამ შესაძლებლობა მოგვცა 1958 წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში გაგვედიდებინა სამნახევარი მილიარდი ფუთით, ესე იგი თითქმის ორჯერ მეტად, ვიდრე 1953 წელს. აგრეთვე მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების — შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მზესუმზირას, ნედლი ბამბის, სელის წარმოება, მეცხოველეობის პროდუქტების — ხორცის, კარაქის, რძის, მატყლის, კვერცხის წარმოება.

ამ შესანიშნავ მიღწევათა მიხედვით განსაკუთრებით ჩანს, თუ რა სამარცხვინოდ ჩაფლავდა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც გამოდიოდა ყველა იმ ღონისძიების წინააღმდეგ, რომლებსაც პარტია ახორციელებდა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში ამ წლების მანძილზე.

პლენუმზე გამოსულნი ერთსულოვნად იწონებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პრაქტიკულ საქმიანობას სექტემბრის პლენუმის, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა და პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეიმუშავა და დაამტკიცა 1959-1965 წლების პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებით დიდი, პასუხსაგები ამოცანები ეკისრება საქართველოს რესპუბლიკასაც სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მთელი მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში მიმართული იყო ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოსა და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოების მკვეთრი გადიდებისაკენ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას. შესრულებულია დიდი მუშაობა კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების დარგში.

ამ წლების მანძილზე მნიშვნელოვნად განმტკიცდა ჩვენი სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. ტრაქტორთა პარკი გადიდდა 2.000 პირობითი ტრაქტორით, ხოლო კომბაინთა პარკი — 621 კომბაინით. კოლმეურნეთა შემოსავალი 1953 წელთან შედარებით გადიდდა 27 პროცენტით. კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდები გაიზარდა თითქმის ოთხ მილიარდ მანეთამდე, ხოლო კოლმეურნეობათა ძირითადი საშუალებების ღირებულება ამავე პერიოდში თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთით გადიდდა.

ხუთი წლის მანძილზე კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვანი სახსრები დააბანდეს სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებში. აგებულია მეცხოველეობის ახალი სადგომები მილიონ სულზე მეტი პირუტყვისათვის, ასეულ ათასობით ტონა სილოსის ნაგებობანი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობა.

ამხ. მჟავანაძე აღნიშნავს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების შედეგებს, რაც მიღწეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ.

მეჩაიეობის რაიონთა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მუშაობა გასწიეს ჩაის წარმოების გასადიდებლად. თუ წინა ხუთწლედში (1949-1953) საშუალოდ წელიწადში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი შეადგენდა 87.000 ტონას, განვლილი 5 წლის მანძილზე მისი საშუალო წლიური მოსავალი აყვანილია 110.000 ტონამდე, ხოლო გასულ წელს მიღებულ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა სარეკორდო მოსავალი — 133.000 ტონა ჩაის ფოთოლი.

გადიდდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. შარშან იგი შეადგენდა 2.925 კილოგრამს 1953 წლის 2.620 კილოგრამის ნაცვლად.

ქობულეთის რაიონის მეჩაიეებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4.470 კილოგრამი. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე მახარაძის, ზუგდიდის, ბათუმის, გალის, ოჩამჩირის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, ტყიბულის, წალენჯიხის, გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

თუ რა უდიდესი რეზერვები მოგვეპოვება ჩაის წარმოების გადიდებაში, ამას მოწმობს მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება. მაგალითად, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 470 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 5.560 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო, ინგირის საბჭოთა მეურნეობამ 495 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ — 4.460 კილოგრამი, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობამ — 5.200 კილოგრამი, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 4.930 კილოგრამი, მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობამ — 4.760 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჰექტარზე.

ამ მაღალ მაჩვენებლებთან ერთად ჯერ კიდევ ცოტა როდია კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებსაც ახლაც მეტად დაბალი მოსავლიანობა აქვთ. ჩაის კოლმეურნეობათა თითქმის ნახევარი საშუალოდ ჰექტარზე იღებს 1.000-დან ორნახევარ ათასამდე კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ასეთი მოსავალი აქვს ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ხობის რაიონების ბევრ კოლმეურნეობას, აფხაზეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებს.

1965 წელს რესპუბლიკაში უნდა მოიკრიფოს 170 ათასამდე ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს ადვილი ამოცანა როდია, მაგრამ სავსებით რეალურია. თუ ჰექტარზე ჩაის ფოთლის მოსავალს გავადიდებთ მხოლოდ 300 კილოგრამით, ე. ი. ავიყვანთ საშუალოდ 3.200 კილოგრამამდე, მარტო ეს ღონისძიება უკვე უზრუნველყოფს დასახული ამოცანის გადაჭრას.

ამრიგად, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მტკიცედ ხორციელდებოდეს ჩაის პლანტაციების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომ ეს საქმე კანონი გახდეს ყველასათვის, ვისაც ჩაი მოჰყავს. უნდა მივიღოთ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ სანიმუშო წესრიგზე გვქონდეს ჩაის უკლებლივ ყველა პლანტაცია, აღმოვფხვრათ პლანტაციების მოუვლელობა და სიმეჩხრე, გავაუმჯობესოთ ახალგაზრდა ნარგავების მოვლა და გავაშენოთ ახალი პლანტაციები ამ კულტურისათვის გამოსადეგ მთელ ფართობებზე.

დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ ჩაის წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, განსაკუთრებით ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის დარგში.

ჩაი ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ეს ის პროდუქტია, რომლის წარმოებაში ჩვენი რესპუბლიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს, აწარმოებს რა ჩვენი ქვეყნის ჩაის მთელი პროდუქციის 97 პროცენტს. ამიტომ ეს კულტურა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. თუ ჯეროვნად მოვკიდებთ საქმეს ხელს, არავითარი ეჭვი არ არის, რომ 1965 წელს მოვიყვანთ არა მარტო 170 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, არამედ მეტსაც.

რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამბობს შემდეგ ამხ. მჟავანაძე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ციტრუსოვანთა — მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის დამუშავებას. 1958 წელს სახელმწიფოს მიეყიდა დაახლოებით 30.000 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი 1953 წლის 18.300 ტონის ნაცვლად. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია ისეთი მდგომარეობისათვის, რომ ციტრუსოვანთა ძირითადი მწარმოებლები იყვნენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი.

ბევრ კოლმეურნეობაში ციტრუსოვანთა პლანტაციები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არ არის. 1958 წელს საბჭოთა მეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 52 ცენტნერი ნაყოფი მიიღეს, კოლმეურნეობებმა კი — მხოლოდ 12 ცენტნერი. მომავალ შვიდწლედში საჭიროა გაშენდეს 3.700 ჰექტარი ახალი პლანტაციები, რათა 1965 წლისათვის ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი აყვანილ იქნას 13.000 ჰექტარამდე, ხოლო ნაყოფის დამზადება — 50-55 ათას ტონამდე.

1953 წელს ბაღების საერთო ფართობი რესპუბლიკაში 98.200 ჰექტარი იყო, ხოლო 1958 წლის ბოლოსათვის 114.000 ჰექტარს მიაღწია.

გასულ წელს სახელმწიფოს ჩაბარდა ერთიორად მეტი ხილი, ვიდრე 1953 წელს. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 42 ცენტნერს შეადგენდა. ამავე დროს, ახორციელებდნენ რა აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ნერგავდნენ რა მეცნიერულ მიღწევებს, მთელმა რიგმა მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ერთიორად გადააჭარბეს ამ საშუალო მაჩვენებლებს. გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობამ 105 ჰექტარი ბაღების ფართობზე გასულ წელს მიიღო 126 ცენტნერი ხილი ჰექტარზე, ხოლო ვარიანის საბჭოთა მეურნეობამ 350 ჰექტარი საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 100 ცენტნერი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბაღების ფართობი ნელა დიდდება. ბევრ კოლმეურნეობაში დამაკმაყოფილებელი არ არის ახალგაზრდა ნარგავების მოვლა, რის გამო მათი მეტი ნაწილი დარგვის პირველ წლებშივე იღუპება. მაგალითად, ქარელის რაიონის კოლმეურნეობა „სინათლეში“ 1956 წლიდან 10 ჰექტარ ერთსა და იმავე ფართობზე სამჯერ გააშენეს ბაღი, მაგრამ ახლაც სიმეჩხრე იქ 30 პროცენტზე მეტს აღწევს. ცუდი მოვლის გამო ქუთაისის, მცხეთის, თეთრი წყაროს, სამგორის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების ბევრი კოლმეურნეობა ხილის დაბალ მოსავალს იღებს — 5,5-დან 13 ცენტნერამდე.

1965 წლის ბოლოსათვის ბაღების ფართობი აყვანილ უნდა იქნას 140 ათას ჰექტარამდე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 73 ათასამდე, რაც რესპუბლიკის ყველა ბაღის მთელი ფართობის 54 პროცენტს შეადგენს.

ჩვენ ამ პერიოდში ხილის წარმოება უნდა გავადიდოთ თითქმის ერთიორად, რათა სახელმწიფოს მივყიდოთ 160.000 ტონამდე ხილი. ჩვენ ყველა პირობა და შესაძლებლობა გვაქვს უფრო ადრე შევასრულოთ ეს პროგრამა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბაღების მოვლას, ბაღების დაავადებათა და მავნებელთა ლიკვიდაციას.

შემდეგ ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს მევენახეობის განვითარებაზე. 1953 წელს ვენახებს რესპუბლიკაში 52,5 ათასი ჰექტარი ეჭირა. ახლა ჩვენი სოფლის მეურნეობის ამ ხელსაყრელი დარგის ფართობი 68.000 ჰექტარს აღწევს. საჭიროა მნიშვნელოვნად გავაძლიეროთ ახალი ვენახების გაშენების ტემპი, რათა უახლოეს წლებში მათი ფართობი 120.000 ჰექტარამდე ავიყვანოთ.

1958 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 67 ათასი ტონით მეტი ყურძენი, ვიდრე 1953 წელს, და სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. წინასწარი ცნობებით, ყურძნის მოსავალი შარშან საშუალოდ ჰექტარზე შეადგენდა 50 ცენტნერზე მეტს ნაცვლად 1952 წლის 23,7 ცენტნერისა. მაგრამ მიღწეული დონე ზღვარი როდია.

მაიაკოვსკის, ჭიათურის, ქარელის, დუშეთის, მცხეთის, ცხაკაიას, სამტრედიის, წულუკიძის რაიონების ბევრი კოლმეურნეობა აგროტექნიკური წესების უხეშად დარღვევისა და ვენახების მოუვლელობის შედეგად ყურძნის მეტად მცირე მოსავალს იღებს.

საჭიროა მიღებულ იქნას ღონისძიებანი მევენახეობაში შრომის ხარჯვის შემცირებისათვის. მრეწველობა უკვე იწყებს ვიწროგაბარიტიანი ტრაქტორების გამოშვებას, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ მოვახდინოთ ვენახების დამუშავების მექანიზაცია, მნიშვნელოვნად შევამციროთ შრომის ხარჯვა და ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება.

ყურძნის წარმოების ზრდა აღემატება ღვინის მრეწველობის განვითარების ტემპს. ღვინის მრეწველობა ჩამორჩება ნედლეულის მზარდ რესურსებს. ამიტომ უახლოეს ხანში უნდა განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებანი ღვინის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

სამტრესტს დიდი რაოდენობით აქვს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ ვენახების მოსავლიანობა წინანდლის, თერჯოლისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში ნაკლებია, ვიდრე მათ მეზობელ კოლმეურნეობებში. ჩვენ გულმოდგინედ უნდა გადავსინჯოთ თვითეული საბჭოთა მეურნეობის საწარმოო გეგმები და მოვაწყოთ მეურნეობანი მიწის სავარგულების ინტენსიური გამოყენებით.

რესპუბლიკის ეკონომიკაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია თამბაქოს. 1950-1953 წლებში თამბაქოს წარმოება ძლიერ შემცირდა, განსაკუთრებით საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში. ამ ხუთწლედის მანძილზე თამბაქოს ფართობი 25 პროცენტით გადიდდა და შეადგენს 13.800 ჰექტარს. 1940 წელთან შედარებით თამბაქოს მოსავლიანობა 2,3-ჯერ გადიდდა. თუ 1953 წელს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ყოველწლიური ჩაბარება 13 ათას ტონას არ აღემატებოდა, 1957 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა დაახლოებით 18 ათასი ტონა. ნაკლები თამბაქო არ იქნა წარმოებული 1958 წელსაც. ამაღლდა ჩაბარებული თამბაქოს ხარისხი, სორტულობა. მეთამბაქოობის განვითარებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთის ასსრ და ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა. თამბაქოს ახალი გადიდებული ფასები ხელს უწყობენ ამ კულტურის განვითარებას. ჩვენ უნდა გავადიდოთ თამბაქოს მოსავლიანობა და 1965 წელს 20 ათას ტონამდე ავიყვანოთ მისი წარმოება.

საჭიროა უფრო სწრაფად მოვახდინოთ თამბაქოს წარმოების მექანიზაცია, რათა მკვეთრად შემცირდეს შრომისა და სახსრების დანახარჯები.

უკანასკნელ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდა ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციები, მაგრამ ჩვენ უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი გერანის, რეჰანის, დამასკოს ვარდისა და სხვა ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციების გასაფართოებლად, რათა შვიდწლედში ეთერზეთოვანი კულტურების მოსავალი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ავიყვანოთ 19-20 ათას ტონამდე.

შაქრის ჭარხალს რესპუბლიკაში სულ 5.300 ჰექტარი უჭირავს. ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ამ კულტურის ფართობის გადიდებას, მაგრამ შაქრის ჭარხლის წარმოება უნდა გავადიდოთ სულ ცოტა ერთნახევარჯერ, უმთავრესად მოსავლიანობის გადიდების გზით. ათობით კოლმეურნეობა 600-700 და მეტ ცენტნერ ჭარხალს იღებს ჰექტარზე. სამწუხაროდ, მოწინავე მეჭარხლეთა გამოცდილება ნელა ვრცელდება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცუდად ინერგება მეჭარხლეობის ყველა კოლმეურნეობის პრაქტიკაში. ჩვენ ფართოდ უნდა განვახორციელოთ ჭარხლის დამუშავების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, უფრო გაბედულად დავნერგოთ მისი მოყვანის პროგრესული მეთოდი, კერძოდ თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, რომელიც უზრუნველყოფს შრომითი დანახარჯების შემცირებას და მოსავლიანობის გადიდებას.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე შემდეგ ეხება ბოსტნეულის წარმოების გადიდების საკითხებს. ჩვენ ნიადაგისა და ჰავის ხელსაყრელი პირობები მოგვეპოვება მებოსტნეობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების დონე მცირე მოსავლიანობის გამო ვერ უზრუნველყოფს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის, აგრეთვე რესპუბლიკის კურორტების მოთხოვნილებას. ჩვენში ბოსტნეულის ძირითადი ნაწილი მოდის ინდივიდუალურ ნაკვეთებზე, რის გამო მოსახლეობა იძულებულია ბოსტნეული მაღალ ფასად იყიდოს ბაზარში და არა სახელმწიფო სავაჭრო ქსელში.

ბოსტნეული კულტურების ფართობი შეადგენს 20 ათას ჰექტარს, ხოლო ჰექტარის მოსავლიანობა — 75 ცენტნერს. დაბალ მოსავალს იღებენ გორის, სამგორის, მარნეულის, ბოლნისისა და სხვა რაიონები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა ბოსტნეულის წარმოების მკვეთრი გადიდების ღონისძიებანი. უმთავრესად სპეციალიზებული მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების შექმნის გზით. კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ბოსტნეულის საერთო გამოსავლიანობა და შევამციროთ მისი თვითღირებულება. უახლოეს ორ წელიწადში დასახულია სულ ცოტა ოთხ-ხუთჯერ გადიდდეს ბოსტნეულის წარმოება საბჭოთა მეურნეობებში.

ჩვენ შეგვიძლია მკვეთრად შევამციროთ კარტოფილის შემოზიდვა, თუ 3-4 ათასი ჰექტარით გავადიდებთ კარტოფილის ნათესს, ვთქვათ, წალკის, თეთრი წყაროს, ახალქალაქის, ახალციხის რაიონებში.

მოხსენებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში, ამბობს ამხ. მჟავანაძე, — აღინიშნა, რომ მეცხოველეობა ჩვენს ქვეყანაში დიდხანს სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო.

ეს სავსებით შეეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. მეცხოველეობა ჩვენში განსაკუთრებით თავმინებებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რაიონისათვის მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია, ეკონომიკის განვითარებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის წყაროა. საკმარისია ითქვას, რომ თითო საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობამ 1948 წელს შეადგინა 388 კილოგრამი, არ იყო საკვები ბაზა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა პრაქტიკული ღონისძიებანი საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, ბაკების მშენებლობისათვის, მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. ათასობით სპეციალისტი გაიგზავნა სამუშაოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში. გაიზარდა კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დაინტერესება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების გადიდებაში და ღორისა და ფრინველის გასუქებაში, ცხოველთა ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში.

1958 წელს საერთო წველადობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გადიდდა 163,3 ათას ტონამდე ნაცვლად 1953 წლის 79 ათასი ტონისა. თითო ძროხის საშუალო წველადობამ 1958 წელს 1.094 კილოგრამი შეადგინა ნაცვლად 1953 წლის 486 კილოგრამისა.

კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა რძის წარმოებაში მთლიანად რესპუბლიკის ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა 1953 წლის 29,5 პროცენტიდან 42 პროცენტამდე 1958 წელს.

1958 წელს კოლმეურნეობებში მიღებულია 14 მილიონი ცალი კვერცხი, მაშინ როცა 1953 წელს მიღებული იყო 8,5 მილიონი ცალი. ხორცის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობებში 1953-დან 1958 წლამდე განვლილ პერიოდში 73 ათასი ტონიდან 84,5 ათას ტონამდე გადიდდა.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებამ შესაძლებელი გახადა გაგვედიდებინა სახელმწიფო დამზადება. 1958 წელს ხორცის დამზადება 1953 წელთან შედარებით გადიდდა 12,3 ათასი ტონით, ანუ 142 პროცენტით, რძისა — 44,7 ათასი ტონით, ანუ 172 პროცენტით, მატყლისა — 5.600 ცენტნერით, ანუ 115 პროცენტით, კვერცხისა — 23,3 მილიონი ცალით, ანუ 202 პროცენტით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რძით, ხორცითა და მატყლით სახელმწიფოს მომარაგების მთავარი წყარო გახდნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დასახელებულია მთელი რიგი რესპუბლიკები და ოლქები, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკაც, სადაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოება ჩამორჩა.

განვლილ ხუთ წელიწადში მთლიანად რესპუბლიკაში გვაქვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობის გადიდება. ამავე დროს კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხის, აგრეთვე ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში 52 ათას ჰექტარ მიწის სავარგულებზე კოლმეურნეობებში სულ არის 2,5 ათასი ძროხა, მარნეულის რაიონში 62 ათას ჰექტარ მიწის სავარგულებზე — 3,7 ათასი ძროხა, ხოლო კაჭრეთის რაიონში 43 ათას ჰექტარ მიწის სავარგულებზე — 2 ათასი ძროხა.

ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას გაბატონებული მდგომარეობა ეკავოს მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოებაში. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს დიდი ორგანიზატორული მუშაობა.

ამხ. მჟავანაძე ეხება რძის წარმოების გასადიდებლად განხორციელებულ ღონისძიებებს. ბევრმა რაიონმა, მათ შორის ბოგდანოვკის, დმანისის, ბოლნისის, წალკის, ახალქალაქის და სხვა რაიონებმა, საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს ათას ხუთას კილოგრამზე მეტი რძე. უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებმა. ძროხის საშუალო წველადობამ აქ 1.758 კილოგრამი შეადგინა ნაცვლად 1953 წლის 358 კილოგრამისა. რაიონში ოთხჯერ და მეტად გადიდდა რძის საერთო წარმოება. გურჯაანის რაიონში, სადაც საშუალო წველადობამ 1602 კილოგრამი შეადგინა 441 კილოგრამის ნაცვლად, რძის საერთო წარმოება გადიდდა სამჯერ და უფრო მეტად, მცხეთის რაიონში წველადობა გადიდდა 278 კილოგრამიდან 1341 კილოგრამამდე, ხოლო საერთო წარმოება გაიზარდა ხუთჯერ.

მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობების გამოცდილება მოწმობს, რომ გვაქვს რძის წარმოების შემდგომი გადიდების დიდი შესაძლებლობანი. ამოცანა ის არის, რომ ფართოდ დაინერგოს მოწინავე ფერმებისა და მეცხოველეების გამოცდილება ყველა კოლმეურნეობაში, ამაღლდეს მეცხოველეობის კულტურა.

შარშან პირველად განხორციელდა ძროხების გადაყვანა ბა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა გაიხსნება 12 იანვარს დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 2).

ტელეფონები: 3-62-20. 3-90-24, 3-60-24, 5-02-85.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება 9 იანვარს. დღის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა სწარმოებს ყოველდღე დილის 10 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახები № 11 და № 12, ტელეფ. № 3-52-33 და 3-15-43.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შედგება 9 იანვარს 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

შინაარსი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

გურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე ქალაქ თბილისის მომიჯნავე რაიონებში. 66 კოლმეურნეობაში ბაგურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე გადაყვანილია 6 ათასი ძროხა. მარტო ამ ღონისძიების შედეგად საერთო წველადობა გადიდდა 20-30 პროცენტით. მარნეულის რაიონის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობამ, ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და ბევრმა სხვამ 300-400 კილოგრამით გაადიდეს საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა. ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის პრაქტიკამ ცხადყო, რომ მისი საშუალებით არა მარტო გადიდდება წველადობა, არამედ მნიშვნელოვნად მცირდება დანახარჯებიც ცენტნერ რძეზე. საგარეჯოს რაიონის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის შემოღების შედეგად ერთი ცენტნერი რძის თვითღირებულება 41 მანეთიდან 29 მანეთამდე შემცირდა. ეს ღონისძიება მიმდინარე წელს უნდა დავნერგოთ კახეთის, ქართლის რაიონებისა და დაბლობ ადგილებში მდებარე სხვა რაიონების ყველა კოლმეურნეობაში.

მეცხოველეობის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ხელოვნური დათესვლის პრაქტიკაში დანერგვამ.

1965 წლისათვის უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საშუალოდ ერთ ძროხაზე მივიღოთ სულ მცირე 2.500 კილოგრამი რძე. ეს ამოცანა სავსებით რეალურია. მისი განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა ჯეროვანი საკვები ბაზის შექმნა. 1958 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩადებულია მილიონნახევარი ტონა სილოსი, უპირატესად სიმინდის სილოსი. ეს საშუალოდ 10 ტონაა ერთ ძროხაზე.

წელს უნდა დავამზადოთ სულ ცოტა 2 მილიონი ტონა სილოსი. მკვეთრად გავადიდოთ სიმინდის, საკვები ბალახების ნათესები, სერიოზულად გავაუმჯობესოთ საძოვრები.

ჩვენს წინაშე დასახულია კონკრეტული ამოცანა — ავამაღლოთ ხორცის წარმოების დონე 64 ცენტნერამდე 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შვიდწლედის მანძილზე უნდა გავადიდოთ ხორცის წარმოება სულ ცოტა 3-4-ჯერ. საჭიროა უწინარეს ყოვლისა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი პირუტყვის ბაგაზე და საძოვარზე გასუქებას.

ზაფხულის პერიოდში ალპურ საძოვრებზე უნდა შეიქმნას პირუტყვის სპეციალური ჯოგები ბაგაზე და საძოვარზე გასასუქებლად. თუ ყაირათიანად გამოვიყენებთ ჩვენს საძოვრებს, იაფი საკვებით შეიძლება გავასუქოთ ათასობით სული. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბაგაზე და საძოვარზე გასუქება ამ პირობებში დამატებით მოგვცემს ათასობით ტონა ძროხის ხორცს.

იაფი ხორცის წარმოების მეორე წყარო უნდა იყოს მეცხვარეობა. საჭიროა გავადიდოთ ცხვრის სადედე სულადობა ზამთრის ფარაში. რათა ზაფხულში ფართოდ მოვაწყოთ სახორცე მოზარდეულის გასუქება. ცხვრის ჯიშობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, ცოცხალი წონის ზრდა გაადიდებს მატყლის მიღებას. თუ მეცხვარეობას კარგად დავაყენებთ, ცხვრის ხორცის წარმოება შეგვიძლია გავადიდოთ 18-20 ათას ტონამდე წელიწადში.

ხორცის რესურსების გადიდების ყველაზე მალე მზარდი წყაროა მეღორეობა და მეფრინველეობა, აგრეთვე მეკურდღლეობა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში გადიდდა ღორის გასუქება, გადიდდა მისი დაკლული წონა, მაინც ეს საქმე მთლიანად ძალიან ცუდად არის ორგანიზებული. მრავალი ღორი იკვლება ადრე ასაკში. ღორებს კარგად ვერ ასუქებენ. სადედე ღორები, რომლებიც კოლმეურნეობებში გვყავს, საშუალებას გვაძლევს 1959 წელს გავასუქოთ 150-170 ათასი სული და მივიღოთ სულ ცოტა 12 ათასი ტონა ღორის ხორცი. შემდგომ წლებში ჩვენ შეგვიძლია ღორის გასუქება გავადიდოთ 300 ათას სულამდე და მივიღოთ 25 ათასი ტონა ღორის ხორცი.

რესპუბლიკაში ხელსაყრელი პირობებია მეფრინველეობის განვითარებისათვის. ამას მოწმობენ პირველი შესამჩნევი წარმატებანი ამ საქმეში. 1958 წლის 1 დეკემბრისათვის კოლმეურნეობებმა აწარმოეს 425 ტონა ფრინველის ხორცი ნაცვლად 290 ტონისა 1957 წლის ამავე თარიღისათვის. საგარეჯოს, წითელწყაროს, გურჯაანის, სამგორის, ბოლნისის, მარნეულის რაიონების ბევრი კოლმეურნეობა ფართოდ აწყობს სახორცე წიწილების გასუქებას.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მკვეთრად გავადიდოთ ფრინველის ხორცის წარმოება ფრინველის გასასუქებელ სპეციალურ საწარმოთა აშენების გზით. ასეთი საწარმოები მიმდინარე წელს იმუშავებენ თბილისის საგარეუბნო ზონაში. ისინი შეძლებენ აწარმოონ 3 ათასამდე ტონა ფრინველის ხორცი. განზრახული გვაქვს გავაფართოოთ ასეთ საწარმოთა ქსელი, რათა ისინი იძლეოდნენ 5 ათასამდე ტონა ფრინველის ხორცს წელიწადში.

მთლიანად ფრინველის ხორცის წარმოებამ უნდა შეადგინოს სულ ცოტა 10 ათასი ტონა წელიწადში.

ამრიგად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქების კარგი ორგანიზაცია, მეცხვარეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის განვითარება უკვე 1959 წელს უზრუნველყოფს ხორცის წარმოების გადიდებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თითქმის ერთიორად.

მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაში, — ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, — უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის სიმინდს.

სიმინდის ხვედრითი წონა მარცვლეულის საერთო მოსავალში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გადიდდა 1953 წლის 35,9 პროცენტიდან 51,4 პროცენტამდე 1958 წელს. გასულ წელს მიღებულია 31 ათასი ტონით მეტი სიმინდი, ვიდრე 1953 წელს.

ბევრმა რაიონმა და მოწინავე კოლმეურნეობამ შეიძინა სიმინდის მოყვანის მდიდარი გამოცდილება. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 1958 წელს მოიყვანეს 37,2 ცენტნერი მარცვალი სიმინდი ჰექტარზე, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა—30, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა—27,5 ცენტნერი. მოწინავე კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა მიიღეს კიდევ უფრო მეტი მოსავალი — 40, 60, 70 ცენტნერი ჰექტარზე. ყვარლის რაიონის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ მოიყვანა 64 ცენტნერი მარცვალი, გურჯაანის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობამ —67 ცენტნერი, ხოლო ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა მირიანაშვილმა—77,8 ცენტნერი. მაგრამ სიმინდის მოსავალი თეთრი წყაროს, გორის, ადიგენის რაიონების, სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ დაბალია. სიმინდის განსაკუთრებით დაბალ მოსავალს იღებენ მაიაკოვსკის, ჭიათურის, ონის, ცაგერის, ვანის, თერჯოლის, ტყიბულის, წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებში.

სამარცვლე სიმინდის ნათესი ფართობი 1958 წელს შეადგენდა 197,2 ათას ჰექტარს, ჩვენ კი შესაძლებლობა გვაქვს გავადიდოთ ეს ფართობი სულ ცოტა 300 ათას ჰექტარამდე.

საჭიროა მკვეთრად გავადიდოთ სიმინდის ნათესები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ.

ჩვენ ძირეულად უნდა შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ კულტურის წარმოებისადმი. უსიმინდოდ ვერ გადაიჭრება მეცხოველეობის საკითხი. მთელ ფართობებზე, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, თესვა უნდა განვახორციელოთ მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივი წესით, უზრუნველვყოთ სულ ცოტა 25 ცენტნერი მარცვლის მიღება ჰექტარზე და სულ ცოტა სამასი ცენტნერი სიმინდის მწვანე მასის მიღება ჰექტარზე.

ნაწვერალზე სასილოსედ ნათესი სიმინდის ფართობი უნდა გავადიდოთ 70-80 ათას ჰექტარამდე, რათა ჩავდოთ სულ ცოტა 2 მილიონი ტონა სილოსი და შევქმნათ საფურაჟე მარცვლეულის დიდი დაგროვება.

ამხ. მჟავანაძე შემდეგ ამბობს, რომ შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“, რესპუბლიკაში გაუქმებულია 95 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და შექმნილია 61 სარემონტო-ტექნიკური სადგური სამი განყოფილებით და ორი სარაიონთაშორისო სამანქანო-სამელიორაციო სადგური.

კოლმეურნეობები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებას. მათ შეიძინეს ყველა ტრაქტორის 94 პროცენტი, კომბაინთა 80 პროცენტი, ტრაქტორის გუთნების 96 პროცენტი, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ამას გარდა, კოლმეურნეობებმა შეიძინეს 17 მილიონი მანეთის ახალი ტექნიკა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ტექნიკა გადაეცა კოლმეურნეობებს, შეიქმნა მისი გამოყენების უკეთესი პირობები. შარშან ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები განხორციელდა უფრო მოკლე ვადებში.

რეორგანიზაციის დროს 17 სარემონტო-ტექნიკურ სადგურს შევუნარჩუნეთ მტს-ის ფუნქციები, მაგრამ პრაქტიკამ ცხადყო, რომ კოლმეურნეობათა ძველებურად მომსახურება ნაკლებად უწყობს ხელს მათი ეკონომიკის აღმავლობას და სხვისი მოიმედეობის განწყობილებასაც კი ქმნის. როგორც ჩანს, საჭიროა ყველა სარემონტო-ტექნიკურ სადგურს ჩამოერთვას მტს-ის ფუნქციები და არსებული ტექნიკა მიეყიდოს კოლმეურნეობებს.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ მიზანშეწონილი არ არის მთელ რიგ რაიონებში სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და მათი განყოფილებების არსებობა, რადგან ისინი ზარალს იძლევიან. ამასთან დაკავშირებით მიღებულია გადაწყვეტილება მთელი რიგი სარემონტო-ტექნიკური სადგურებისა და განყოფილებების ლიკვიდაციის შესახებ. მარტო ეს ღონისძიება ამცირებს ხარჯებს წელიწადში თითქმის ორნახევარი მილიონი მანეთით.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში ბევრია კვალიფიციურ მექანიზატორთა კადრები, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტი, მექანიზაციის კათედრები სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებთან, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე ჩვენში მაინც მეტად დაბალია. ჩვენმა კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა და მექანიზატორებმა უნდა შექმნან მანქანათა სისტემები კომპლექსური მექანიზაციისათვის საქართველოს საწარმოო პირობებში გამოსაყენებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო მოვალეა დიდი ყურადღება დაუთმოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საკითხებს.

საჭიროა უფრო გაბედულად დავნერგოთ მოწინავე ტექნიკა საკოლმეურნეო წარმოებაში, ჩავუნერგოთ კოლმეურნეებს ინტერესი ტექნიკისადმი, ვებრძოლოთ უძრაობას, ანტიმექანიზატორულ განწყობილებას, რაც აქა-იქ ჯერ კიდევ არის.

წლითიწლობით იზრდება, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საერთო წარმოებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკაში შექმნილია ჩაის, ციტრუსების, მევენახეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის, ეთერზეთოვანი კულტურების 49 ახალი საბჭოთა მეურნეობა. ახლა ჩვენ გვაქვს 133 საბჭოთა მეურნეობა.

დიდი მუშაობა უნდა შესრულდეს შვიდწლედის მანძილზე საბჭოთა მეურნეობებში პროდუქტების წარმოების გასაფართოებლად. 1965 წელს საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საერთო მოცულობაში მთელ რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ხაზით 21 პროცენტი იქნება და ციტრუსების ხაზით—30 პროცენტი. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა უახლოეს წლებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება სულ ცოტა 4-5-ჯერ უნდა გაადიდონ.

ჩვენ სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად უნდა გადავაქციოთ საბჭოთა მეურნეობები.

ამხ. მჟავანაძეს მოჰყავს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობის გადიდების, მეცხოველეობის განვითარების შედეგად. თუ 1953 წელს საქართველოს კოლმეურნეობებს 1.650 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი ჰქონდათ, 1957 წელს შემოსავალმა შეადგინა დაახლოებით 2 მილიარდ 87 მილიონი მანეთი. უკანასკნელ ხუთ წელიწადში შესამჩნევად გადიდდა შრომადღის ანაზღაურება, როგორც ფულადი, ისე ნატურალური, მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა რიცხვი. მაგრამ არის მთიანი რაიონების ბევრი კოლმეურნეობა, სადაც ჯერ კიდევ დაბალია შრომადღის ანაზღაურება.

შესრულებული არ არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითება იმის შესახებ, რომ გავრკვეულიყავით თვითეული კოლმეურნეობის საქმის ვითარებაში და შეგვემუშავებინა ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის. კოლმეურნეობებში მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კრებების დროს საჭიროა გაძლიერდეს კოლმეურნეთა აქტივობა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

შემოსავლის განაწილებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განუყოფელი ფონდების შექმნას და სწორად გამოყენებას, რომლებიც საკოლმეურნეო მეურნეობის განვითარების საფუძველია, საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის, კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მაჩვენებელია. ბევრ კოლმეურნეობაში, — აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, — გაბერილია სამმართველო აპარატი, ფიზიკური შრომისაგან ათავისუფლებენ ბევრ მუშაკს, რაც იწვევს პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის, რომ ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურება 5-6-ჯერ და მეტჯერ აღემატება რიგითი, კარგად მომუშავე კოლმეურნეების შრომის ანაზღაურებას. ამ საქმეში საჭიროა გარკვეული წესრიგი დამყარდეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, — ამბობს შემდეგ მომხსენებელი, — არსებითად არ უთმობს ყურადღებას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, დანორმვის, შრომის აღრიცხვისა და ანაზღაურების საკითხებს. ჩვენში ბევრია კოლმეურნეობა, რომლებმაც შემოიღეს ყოველთვიური ავანსირება, ახალი სისტემა შრომის ანაზღაურებისა წარმოების დონის მიხედვით, მაგრამ ამ გამოცდილებას არ სწავლობენ, არ განაზოგადებენ.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდი დახმარება უნდა გაუწიონ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა. 1957 წელს შეიქმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. ჩვენში ახლა არის 9 სამეცნიერო-საკვლევი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და რამდენიმე სპეციალიზებული საცდელი სადგური, სამი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც ათასზე მეტი მეცნიერი მუშაობს.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა ბევრი ძვირფასი წინადადება შეიმუშავეს და შეიტანეს. გამოყვანილია ჩაის, ყურძნის, ხილის, თუთის ახალი სორტები, ცხვრის, აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშები, შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების აგროტექნიკური წესები, ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, შემუშავებულია თესლბრუნვის რეკომენდაციები რესპუბლიკის ცალკეული ზონების შეფარდებით, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაავადების წინააღმდეგ ახალი პრეპარატების მომზადების მეთოდიკა და მრავალი სხვა. მაგრამ სამეცნიერო დაწესებულებებსა და მეცნიერებს შეეძლოთ გაცილებით მეტი გაეკეთებინათ, ისინი უფრო კარგად რომ იყვნენ დაკავშირებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან.

მეტად დიდხან გაჭიანურდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ორგანიზაციული პერიოდი. აკადემია ჯერ კიდევ არ გადაქცეულა სოფლის მეურნეობის მეცნიერების საბრძოლო შტაბად, როგორიც იგი უნდა იყოს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, იანვრისა და შემდგომი პლენუმების მიერ დასახულ ამოცანათა გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციების კონკრეტულ მუშაობას, მთელი საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომას.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც რიცხობრივად გაიზარდა და განმტკიცდა, ახლა უფრო კონკრეტულ, უფრო დიდ გავლენას ახდენენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაზე.

„პარტიულ მუშაობაში, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე, — მთავარია კონკრეტულობა ხელმძღვანელობაში, ტექნიკის, წარმოების ორგანიზაციის ძირითადი პროცესების ცოდნა, იმის უნარი, რომ მოვახდინოთ მასებზე პოლიტიკური გავლენა, აღვზარდოთ ისინი და წავუძღვეთ წინ პარტიის დროშით“.

ამ დებულების მიხედვით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების, სოფლის ყველა კომუნისტის ამოცანაა მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრონ ეკონომიკის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მეურნეობის რენტაბელური, ყაირათიანი გაძღოლის საკითხებს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების. შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესების საკითხებს.

საჭიროა უაღრესად მოკლე ვადაში აღმოვფხვრათ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ჩვენი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში.

ჩვენი ქვეყანა შედის კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ახალი, 1959 წელი აღინიშნა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე მიღწევებით. საბჭოთა ხალხმა, რომელმაც გაგზავნა რაკეტა მთვარისაკენ სამაყო სიტყვებით — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ეს რაკეტა მიუძღვნა კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას, რომელიც განიხილავს შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ პროგრამას.

მომავალი შვიდწლედი დიდ გარდაქმნებს შეიტანს ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში.

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, უაღრესად მხურვალე მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების განხილვაში. ერთსულოვნად იწონებენ რა შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს, საქართველოს მშრომელებს იგი მიაჩნიათ ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ჩვენი პარტიის ზრუნვის ახალ გამოვლინებად.

საბჭოთა კავშირის მილიონობით ადამიანის მაგალითისამებრ საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ გაშალეს ჩვენი დღეების შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა — დაიწყეს კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა.

შვიდწლიანი გეგმა უდიდეს ამოცანებს გვისახავს სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, და დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, ჩვენი მეცნიერები, სპეციალისტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ბრძნული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა განახორციელონ ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ეს უდიდესი პროგრამა, თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

გუშინ, 7 იანვარს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დილის სხდომაზე დაიწყო განხილვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენებისა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

ყველა ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი თვალსაჩინო მოვლენაა პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამაა, ეს არის მძლავრი მოწოდება მოეწყოს საყოველთაო სახალხო ბრძოლა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

— თვალსაჩინო წარმატებანი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, — ამბობს საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ნ. ხ. ჯავახაძე**, — იმის შედეგია, რომ განუხრელად ხორციელდება ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი, თანმიმდევრულად სრულდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ პარტიამ, შემოქმედებითად ავითარებს რა მარქსიზმ-ლენინიზმს, თავის დროზე და სწორად გადაჭრა სოფლის მეურნეობის განვითარების ძირეული საკითხები, ისევე როგორც კომუნისტური მშენებლობის სხვა მომწიფებული ამოცანები.

სოფლის მეურნეობის სერიოზული ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში განახორციელა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი: განამტკიცა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები გამოცდილი ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით, გააძლიერა სოფლის მეურნეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესებულობა, შემოიღო დაგეგმვის ახალი სისტემა, გააუქმა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება და ნატურანაზღაურება მტს-ების მუშაობისათვის, შემოიღო სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესი, ფასები და სხვ.

თუ რამდენად სწორი და სასიცოცხლოდ გადაუდებელი იყო კოლმეურნეობებისათვის ეს ღონისძიებანი, ამას მოწმობს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობათა მაგალითი. ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი. ამას დამაჯერებლად მოწმობს კოლმეურნეობების ეკონომიკის წამყვანი დარგის — მეცხოველეობის განვითარების ციფრები. 1953 წელს რაიონში ნაწარმოები იყო 13.705 ცენტნერი ხორცი, შარშან კი — 35.739 ცენტნერი. მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება შესაბამისად გადიდდა: რძისა— 52.144 ცენტნერით, მატყლისა — 272 ცენტნერით, კვერცხისა — 2.472.993 ცალით. თვითეული ძროხის წველადობა გაიზარდა 1953 წლის 501 კილოგრამიდან 1.538 კილოგრამამდე.

მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეული კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულის, მზესუმზირას მოსავლიანობა.

განვლილ ხუთ წელიწადში შესამჩნევად განმტკიცდა კოლმეურნეობათა მატერიალური ბაზა, გაიზარდა მათი შემოსავალი. თუ 1953 წელს კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 24 მილიონი მანეთი, 1958 წელს მან გადააჭარბა 50 მილიონ მანეთს.

ამხ. ჯავახაძე ლაპარაკობს, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გადაცემას კოლმეურნეობებისათვის. მტს-ების რეორგანიზაციის შემდეგ რაიონის კოლმეურნეობებმა იყიდეს სხვადასხვა მარკის 212 ტრაქტორი და 225 კომბაინი, ბევრი სხვა ინვენტარი, სულ დაახლოებით 7,5 მილიონი მანეთისა. კოლმეურნეობების საკუთარი ტექნიკით მუშაობის პირველი თვეების პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა, რომ სწორი და დროული იყო პარტიისა და მთავრობის ეს ღონისძიება, რომ ეს მეტად სასარგებლოა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის.

გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ი. ა. ტოლიაშვილი** ამბობს:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში „სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები უკანასკნელ ხუთ წელიწადში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები“ და პლენუმის დადგენილებაში ნაჩვენებია, თუ ჭეშმარიტად რა გიგანტური მუშაობა განახორციელეს ჩვენმა პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

გორის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა განვლილ ხუთ წელიწადში დიდი მუშაობა შეასრულეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მექანიზატორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თავდადებულმა შრომამ უხვი ნაყოფი მოიტანა. განვლილ ხუთ წელიწადში რაიონში მნიშვნელოვნად გადიდდა შაქრის ჭარხლის, ხილის, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობა. 1958 წელს სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 3.309 ცენტნერით, რძე 18.362 ცენტნერით, კვერცხი 350 ათასი ცალით, ბოსტნეული 2.526 ტონით, ყურძენი 2.907 ტონით, თესლოვანი და კურკოვანი ნაყოფი 13.300 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის, პარკის, მარცვლეულის მიყიდვის დავალებანი.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგის — მეხილეობის განვითარებაში. 1953 წლამდე სახელმწიფოს ყოველ წელს მიეყიდებოდა არა უმეტეს 5-6 ათასი ტონა ხილი, 1958 წელს კი მიეყიდა 27.319 ტონა. 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიღებული იყო 35 ცენტნერი ხილი, ხოლო შარშან 58 ცენტნერი — 18 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ბრიგადებსა და რგოლებს.

გორის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ ყურადღებას უთმობენ მეხილეობის შემდგომ განვითარებას. მათ გადაწყვიტეს 1959-1965 წლებში გააშენონ 4.000 ჰექტარი ახალი ხეხილის ბაღი. ხილის დამზადება ამ პერიოდში გადიდდება თითქმის ერთიორად. კოლმეურნეობათა შვიდწლიანი პერსპექტიული გეგმებით გათვალისწინებულია შემდგომ გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, რომლის განვითარებაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მოპოვებულია პირველი წარმატებანი.

— გორის რაიონის მშრომელები, — თქვა დასასრულ ამხ. ტოლიაშვილმა, — არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რომ მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ აღმავლობას, შეიტანონ თავიანთი წვლილი კომუნისტური პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში.

სიტყვას ამბობს საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. ვ. გოგოხია**. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა კეთილნაყოფიერი გავლენა ნათლად ჩანს საქართველოს მაგალითით. ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში დამაჯერებლად ნაჩვენებია ის დიდი

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

(დასასრული)

მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელებმა.

მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებით გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეებმა. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, აგროტექნიკური წესების დაცვისა და პლანტაციების სწორი მოვლის საფუძველზე ჩვენ წლითიწლობით ვაძლიერებთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მისი ჩაბარების ტემპს. შარშან აფხაზეთში მიღებულია რეკორდული მოსავალი. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 21.600 ტონა ჩაის ფოთოლი — 6 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს და 16 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს. წინა ხუთწლედთან შედარებით ჩაის ფოთლის კრეფა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გადიდდა 1,4-ჯერ.

მთავრდება სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის მიყიდვა. 1958 წელს სახელმწიფოს მიეყიდა ყურძენი ერთნახევარჯერ მეტი, კურკოვანი და თესლოვანი ნაყოფი 7.500 ტონით მეტი, პარკი 90 ტონით მეტი, თამბაქო 2.300 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

განვლილ ხუთწლედში რძის მთლიანი წარმოება გადიდდა 35.420 ცენტნერით, თვითეული ძროხის წველადობა გაიზარდა 1953 წლის 240 კილოგრამიდან 750 კილოგრამამდე 1958 წელს. განვლილ წელს სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 5.218 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1953 წელს. მიღწეულმა წარმატებებმა გავლენა მოახდინეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში დასახულია დიდი ამოცანები, ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, თამბაქოსა და სხვა კულტურების წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში. ჩვენ უკვე დავსახეთ და ვახორციელებთ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შვიდწლედის დამლევს მივიღოთ 28 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. შვიდწლედის დამლევამდე ჩვენ უნდა გავაშენოთ 5.600 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია, 1.500 ჰექტარით გადიდდება ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი, 2 ათასი ჰექტარით — ხეხილის, 1.500 ჰექტარით — ვენახების ფართობი. ჩვენ ყოველ წელს ვაწარმოებთ 9 ათასამდე ტონა თამბაქოს ნედლეულს.

ამხ. გოგოხიამ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ საჭიროა ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, კერძოდ, ჩაის წარმოებასა და მეთამბაქოობაში.

ტრიბუნაზეა მახარაძის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **ზ. თ. ცხომელიძე.** რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებში, — ამბობს იგი, — დიდი სიხარული და სიამაყე გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ იმ მნიშვნელოვანი წარმატებების გამო, რომლებიც მოიპოვა საქართველომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

მიმდინარე წელს, აღნიშნავს ორატორი, რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების მშრომელებმა ჩაის ფოთლის რეკორდული რაოდენობა მოკრიფეს. ამ საქმეში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს მახარაძის რაიონის მეჩაიეებმაც. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 27.120 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 4 მილიონი კილოგრამით მეტი, ვიდრე 1957 წელს. ჩვენს რაიონს მიღწეული წარმატებისათვის მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამხ. ცხომელიძე ლაპარაკობს ცხაკაიას სახელობის არტელის რგოლის წარმატებებზე, რომელსაც იგი 15 წელიწადზე მეტია ხელმძღვანელობს. ამ რგოლის წევრებმა შარშან მისთვის მიჩენილი პლანტაციების თვითეულ ჰექტარზე მოკრიფეს 6.400 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი. თვითონ მერგოლურმა 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 8.917 კილოგრამი ფოთოლი. მეჩაიეებმა ეს წარმატებანი მიუძღვნეს საქართველოს კომპარტიის მომავალ XIX ყრილობას და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

რგოლმა ვალდებულება იკისრა 1959 წელს თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს სულ ცოტა 7 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო სულ შვიდწლედის განმავლობაში 200 ტონა ფოთოლი.

— საქართველოს მეჩაიეები, — აცხადებს ამხ. ცხომელიძე, — აღფრთოვანებულნი პარტიისა და მთავრობის მამობრივი ზრუნვით, გაორკეცებული ენერგიით იბრძოლებენ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირნათლად შეასრულებენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა საკუთარი წარმოების ჩაით.

შესანიშნავ წარმატებებზე, რომლებსაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მიაღწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, ილაპარაკა მარნეულის რაიონის სოფელ კაჩაგანის კოლმეურნეობა „კომუნიზმის" თავმჯდომარემ ამხ. **ა. დ. ისმაილოვმა.** ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ, — აღნიშნავს იგი, — ჩვენი არტელის მაგალითით. სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობა ჩვენში ერთიორად გადიდდა, რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სასილოსე სიმინდისა — 10-ჯერ, თამბაქოსი — 2-3-ჯერ, ეთერზეთოვანი კულტურებისა — 6-ჯერ, ყურძნისა — 3,5-ჯერ, ხილისა და კენკრისა — 1,5-ჯერ. მთლიანი წველადობა გაიზარდა 1.000 ცენტნერით.

1953 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა. მაგალითად, თამბაქო სახელმწიფოს მივყიდეთ ორჯერ მეტი, რძე — სამჯერ მეტი, ხორცი — 4-ჯერ მეტი, აქედან ღორის ხორცი 20-ჯერ მეტი.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1958 წელს, 1953 წელთან შედარებით 2,4-ჯერ გაიზარდა და შეადგენს 8,5 მილიონ მანეთს.

პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვის დროს კოლმეურნეობის გამგეობამ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გამოიანგარიშა თავისი რეზერვები და შესაძლებლობანი, დასახა 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმა. მთავარი ყურადღება ექცევა მევენახეობის, მებაღეობის, მარცვლეულის მეურნეობის განვითარებას, განსაკუთრებით სიმინდის ნათესების შემდგომ გადიდებას, მეცხოველეობის საღედე სულადობის ზრდას. ჩვენ დავსახეთ, რომ 1965 წელს მივიღოთ 21.700 ათასი მანეთი შემოსავალი, აქედან მეცხოველეობისაგან 7 მილიონი მანეთი, მებაღეობისაგან — 8 მილიონი მანეთი.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ არტელ „კომუნიზმის" წევრები ყოველ ღონეს იხმარენ, იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან.

შემდეგი გამოდის საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ა. მ. დავითაშვილი,** რომელიც ლაპარაკობს მევენახეობის — რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგის განვითარებაში მოპოვებულ მიღწევებზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ ვენახების ფართობი რაიონში გადიდდა 1.845 ჰექტარით და ახლა შეადგენს 6.812 ჰექტარს. წლითიწლობით დიდდება ვენახების მოსავლიანობა. თუ 1952 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 31,4 ცენტნერი ყურძენი, 1958 წელს საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 71 ცენტნერი.

კიდევ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა. მაგალითად, სოფელ შაშიანის კოლმეურნეობაში, სადაც ვენახებს 105 ჰექტარი უკავია, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე შარშან მიიღეს 114 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად 1952 წლის 24,7 ცენტნერისა.

ყურძნის მოსავლის სისტემატური გადიდება უზრუნველყოფს ყოველწლიური დამზადების ზრდას. 1958 წელს სახელმწიფოს მივყიდეთ დაახლოებით 20 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო 1965 წელს მივყიდით ორჯერ მეტს.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია გაშენდეს 4.195 ჰექტარი ახალი ვენახი.

რაიონის მევენახეები, აღფრთოვანებულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის შესანიშნავი პერსპექტივებით, რომლებიც დასახულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, იბრძვიან ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

შემდეგ ამხ. დავითაშვილი ლაპარაკობს იმ წარმატებებზე, რომლებიც რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს მეხილეობის, მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში. იგი პირობას აძლევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომ გურჯაანის რაიონის მშრომელები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა მთლიანად გადაწყვიტონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **გ. გ. სანაკოევს.**

— ხუთი წელი გვაშორებს, — ამბობს იგი, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ სექტემბრის პლენუმს, რომელზეც სამართლიანად და მწვავედ გააკრიტიკეს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზული ნაკლოვანებანი, კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის დამახინჯება საკოლმეურნეო მშენებლობაში და რომელზეც შემუშავებულ იქნა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა.

ცნობილია, თუ რა მდგომარეობაში იყო 1953 წლისათვის სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობა და, განსაკუთრებით, მეცხოველეობა. ოლქის პარტორგანიზაციამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით აღმოფხვრა სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც დაშვებული იყო კოლმეურნეობათა განმტკიცების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის საქმეში, დაგეგმვაში, დამზადების საკითხებში.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო კოლმეურნეობებში წესრიგის დამყარებასა და დისციპლინის განმტკიცებას, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

თუ 1953 წელს ოლქის კოლმეურნეობებმა საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიიღეს 299 კილოგრამი რძე, 1958 წელს მიღებულია 1.002 კილოგრამი. გასულ წელს სამხრეთ ოსეთმა აწარმოა 99 ათასი ცენტნერით მეტი რძე, ვიდრე ხუთი წლის წინათ და 13.250 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

ხუთი წლის განმავლობაში საშემოდგომო ხორბლის მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 6,6 ცენტნერიდან გადიდდა 10 ცენტნერამდე, საშემოდგომო ქერისა — 6-დან 11,7 ცენტნერამდე, სამარცვლე სიმინდისა — 8,3-დან 13,5 ცენტნერამდე. ამავე პერიოდში ხილის მოსავალი გადიდდა თითქმის ერთიორად, ყურძნისა 1,5-ჯერ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეულ კოლოსალურ წარმატებათა მიხედვით, — აცხადებს დასასრულ ამხ. სანაკოევი, — უბადრუკი აღმოჩნდა ამაო ცდები მალენკოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფისა, რომელიც ამხილა და გაანადგურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა უდიდესი ერთსულოვნებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, აგრეთვე შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა და პარტიის XX ყრილობის დადგენილებათა განსახორციელებლად.

ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა **ფ. ბ. წითლანაძემ** ილაპარაკა იმაზე, თუ რა მხურვალედ მოიწონეს სოფლის მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

— სიამაყის გრძნობით აღივსები, — ამბობს იგი, — როცა ეცნობი უკანასკნელი ხუთწლედის შედეგებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჩვენი კოლმეურნეობა, რომელიც ძირითადად მეჩაიეობის კოლმეურნეობაა, წლითიწლობით ადიდებს ჩაის ფოთლის წარმოებას. 1958 წელს 194,4 ჰექტარზე მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 725,6 ტონა ფოთოლი — 150 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ამავე წლებში გადიდდა 416 კილოგრამით.

ჩვენ წარმატებანი გვაქვს მეცხოველეობის განვითარებაშიც. გასულ წელს კოლმეურნეობამ მიიღო 189.450 კილოგრამი რძე, გეგმაზე მნიშვნელოვნად მეტი. თვითეულ ძროხაზე მიღებულია საშუალოდ 2.900 კილოგრამი რძე, ნაცვლად 1953 წლის 1.552 კილოგრამისა. არტელის ფულადმა შემოსავალმა შარშან შეადგინა 7.800 ათასი მანეთი, ხოლო შრომადღის ღირებულებამ 27 მანეთი.

კოლმეურნეობის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ იმ ბრიგადის წევრებს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. 1958 წელს ჩვენ 8 ჰექტარ პლანტაციაზე მივიღეთ 57 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 51 ათასი კილოგრამისა.

ბრიგადის წევრები მზრუნველობით უვლიან ჩაის ბუჩქებს, ბარავენ ნიადაგს, შეაქვთ მინერალური სასუქი. კოლმეურნეებს იმედი აქვთ წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 7.560 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებული შრომით გაამართლონ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრის მაღალი წოდება.

საშუალო წველადობა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1959 წლის 1 იანვრისათვის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

(კილოგრამობით)

რაიონები	საშუალო წველადობა 1959 წლის 1 იანვრისათვის	 1958 წლის 1 იანვრისათვის	 + მატება — კლება
ბათუმის	2.281	2.102	+179
ქობულეთის	1.801	1.675	+126
საგარეჯოს	1.758	1.454	+304
ბოგდანოვკის	1.714	1.801	— 87
დმანისის	1.669	1.503	+166
წალკის	1.645	1.600	+ 45
გურჯაანის	1.602	1.442	+160
წითელწყაროს	1.584	1.386	+198
მახარაძის	1.454	1.277	+177
ბოლნისის	1.389	1.063	+326
ასპინძის	1.373	1.145	+228
მცხეთის	1.371	1.250	+121
ახალქალაქის	1.351	1.281	+ 70
სამგორის	1.315	1.190	+125
სიღნაღის	1.204	973	+231
მარნეულის	1.199	1.051	+148
ტყიბულის	1.163	876	+287
ლაგოდეხის	1.162	954	+208
თელავის	1.138	1.069	+669
თერჯოლის	1.134	987	+147
გორის	1.121	1.062	+ 59
თეთრიწყაროს	1.098	1.161	— 63
სტალინირის	1.091	959	+132
კასპის	1.079	949	+130
ჯავის	1.064	885	+179
ყვარლის	1.062	955	+107
ბორჯომის	1.025	1.050	— 25
წყალტუბოს	1.009	809	+200
გაგრის	1.007	939	+ 68
ორჯონიკიძის	976	882	+ 94
აბაშის	971	868	+103
დუშეთის	962	932	+ 30
ზუგდიდის	959	856	+103
ქუთაისის	959	794	+165
აბშეტის	959	906	+ 53
ზნაურის	951	861	+ 90
ლენინგორის	947	811	+136
ქარელის	911	859	+ 52
ონის	905	891	+ 14
ადიგენის	904	813	+ 91
თიანეთის	901	811	+ 90
ლანჩხუთის	892	705	+187
ცხაკაიას	890	720	+170
ახალციხის	879	858	+ 21
ზესტაფონის	876	717	+159
მესტიის	875	926	— 51
სამტრედიის	873	753	+120
საჩხერის	870	760	+110
ჩოხატაურის	861	785	+ 76
ხაშურის	859	858	+ 1
სოხუმის	857	725	+132
გალის	833	722	+111
გეგეჭკორის	821	690	+131
ხულოს	802	801	+ 1
კასპის	790	729	+ 61
ამბროლაურის	784	671	+113
ყაზბეგის	780	770	+ 10
ხობის	780	627	+153
წულუკიძის	775	530	+245
გულრიფშის	773	651	+122
ცაგერის	741	730	+ 11
ვანის	740	677	+ 63
წალენჯიხის	736	725	+ 11
მაიაკოვსკის	730	602	+128
ქედის	725	602	+123
ლენტეხის	719	683	+ 36
ოჩამჩირის	718	715	+ 3
ჰიათურის	706	681	+ 25
ჩხოროწყუს	695	561	+134
გუდაუთის	648	576	+ 72
შუახევის	583	578	+ 5

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის კომუნიკე

საბჭოთა კავშირში ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, მისი უმაღლესობის სარდარ მუჰამედ ნაიმის ყოფნის შესახებ

1958 წლის 31 დეკემბერს, რაც შეესაბამება 1337 წლის 10 ჯედის, ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი, მისი უმაღლესობა სარდარ მუჰამედ ნაიმი გენერალ ხან მოჰამედის, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორის ზალმაი მაჰმუდ ღაზისა და ბ-ნ ნაიმის პირადი მდივნის გულამ მოჰამედ ნეგზათის თანხლებით მოსკოვს ჩამოვიდა.

მისი უმაღლესობა მ. ნაიმი სსრ კავშირში ყოფნის დროს შეხვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს და მოლაპარაკებას ეწეოდა მასთან. ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. პ. პავლოვი. ავღანეთის მხრივ შეხვედრებს ესწრებოდა ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაქიმ შაჰალამი.

მისი უმაღლესობა მ. ნაიმი შეხვდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

ამ მოლაპარაკების დროს იყო აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობისა და ორ ქვეყანას შორის მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე იმ მდგომარეობის საკითხებზე, რომელიც შუა აღმოსავლეთში იქმნება, და ამ რაიონში ამბების განვითარების საკითხებზე.

შეხვედრებისა და საუბრების შედეგად მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთ ინტერესების დაცვის საფუძველზე. მხარეებმა აზრი გამოთქვეს, რომ ეს მათი კარგი ურთიერთობა და მისი შემდგომი განვითარება სარგებლობას მოუტანს მშვიდობის განმტკიცებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში. ამასთან მხარეებმა განაცხადეს, რომ ისინი ყოველი ღონისძიებით შეუწყობენ ხელს ამ მაღალი მიზნის — მშვიდობის განმტკიცების უზრუნველყოფას და იმედი გამოთქვეს, რომ ამ რაიონის ყველა სხვა სახელმწიფოც მიიღებს ღონისძიებას და ითანამშრომლებს აღნიშნული მიზნისათვის.

ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვლავ დაადასტურა ავღანეთის ნეიტრალური და მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომლის წყაროა ავღანელი ხალხის სურვილი განავითაროს და კეთილად მოაწყოს თავისი ქვეყანა მშვიდობიან პირობებში, აგრეთვე დაადასტურა ავღანეთის მთავრობის მისწრაფება ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისა და უკეთესი ურთიერთგაგების შექმნისადმი.

სსრ კავშირის მთავრობამ დაადასტურა, რომ მზად არის განაგრძოს და გააფართოოს თავისი დახმარება ავღანეთის ეკონომიური განვითარებისა და პროგრესის საქმეში. დათქმულ იქნა, რომ ორივე მხარე გამოყოფს თავის წარმომადგენლებს, რომლებიც უახლოეს მომავალში დაამყარებენ კონტაქტს ურთიერთ შორის, რათა პრაქტიკულად განახორციელონ მიღწეული შეთანხმება.

საერთაშორისო მდგომარეობის საერთო საკითხებზე აზრთა გაზიარებისას მხარეებმა კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ ერთმანეთს ემთხვევა ორივე სახელმწიფოს თვალსაზრისი საერთაშორისო პოლიტიკის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მთელი მსოფლიოს ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება, მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარება, განიარაღების პრობლემის გადაჭრა, ატომური და წყალბადის იარაღის საცდელი აფეთქების აკრძალვა, და სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ტრადიციული მეგობრობისა და გულწრფელობის ატმოსფეროში, რომლებიც ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ახასიათებენ.

მოსკოვი, 1959 წლის 5 იანვარი.

კულტურის ძეგლთა დაცვას შეუნელებელი ყურადღება

◆

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველ ყრილობაზე

◆

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველი დამფუძნებელი რესპუბლიკური ყრილობა. აქ შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები, რომლებიც არჩეული არიან საზოგადოებათა რაიონულ კონფერენციებზე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუმრები მოსკოვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან.

ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ლორთქიფანიძემ.

მოხსენება საზოგადოების შექმნისა და მისი ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა დ. ჩხიკვიშვილმა.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობას სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და მუზეუმების საერთაშორისო ურთიერთობის საბჭოთა კომიტეტის სახელით მიესალმა არქიტექტურის დოქტორი დ. მიხაილოვი. მან აღნიშნა საქართველოს მშრომელთა ძვირფასი ინიციატივა, რომლებიც გამოვიდნენ ასეთი საზოგადოების შექმნის პიონერებად.

ყრილობას მიესალმნენ აზერბაიჯანის სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა და მუზეუმთა განყოფილების უფროსი ა. საიდოვი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის კულტურის ძეგლთა განყოფილების უფროსი კ. ოჰანესიანი, თბილისის სკოლების მოსწავლეთა სახელით — მ. აბრამიშვილი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელით — მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის კოლმეურნეობის მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი ზ. ცხომელიძე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა, მწერალმა ლ. გოთუამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ბადურაშვილმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ამირანაშვილმა, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ვ. ახვლედიანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ლორთქიფანიძემ, აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ვ. ფაჩულიამ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ უდიდეს აღფრთოვანებაზე, რომლითაც საქართველოს მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ სსრ კავშირის კანონს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო. მათ ეს ისტორიული დოკუმენტები მიიღეს როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გაშლილი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ზრუნვას იჩენდნენ წარსულ საუკუნეთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის. ჯერ კიდევ 1918 წელს გამოქვეყნდა ლენინური დეკრეტი მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ.

საქართველო მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მის ტერიტორიაზე შემონახულია არქიტექტურის, არქეოლოგიის, ხელოვნების 5 ათასზე მეტი ძეგლი, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ისინი მოწმობენ ძველი საქართველოს მაღალ კულტურას, ჩვენი წინაპრების შესანიშნავ ოსტატობას.

საქართველოს არქიტექტურის განვითარების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვთ მცხეთის — ჯვარის, სამწვერისის (VI-VII საუკუნეები) მოქვის, კუმურდოს, სამთავისის, სვეტიცხოვლის, გელათის (X-XIII საუკუნე) ძეგლებს, რომლებიც მოწმობენ სახალხო მშენებელთა გენიალურ ოსტატობას, რომლებმაც შეძლეს ქვით და ორნამენტებით განეხორციელებინათ უბადლო, თვითნაბადი ეროვნული ხელოვნება.

რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა წარსულის კულტურის ძეგლთა დასაცავად. მეცნიერებმა ი. ჯავახიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, ს. ჯანაშიამ, შ. ამირანაშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და სხვებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი მეცნიერულკვლევითი მუშაობა ძველი მატერიალური კულტურის შესასწავლად. არქეოლოგიურმა გათხრებმა, ძეგლთა სისტემატიზაციამ შესაძლებელი გახადა დაგვედგინა, მაგალითად, რომ საქართველოში უხსოვარი დროიდან არსებობდა მეტალურგიული წარმოება. გათხრებმა მცხეთა—არმაზში, თრიალეთში, ურეკში გვაჩვენეს დღემდე უცნობი ხელოვნების განძეულობა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შექმნილია ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველო, აგრეთვე სპეციალური სარესტავრაციო სახელოსნო. უკანასკნელ რვა წელიწადში სიძველის ძეგლთა რესტავრაციისა და კონსერვაციის სამუშაოებზე დახარჯულია 20 მილიონ მანეთამდე. ყოველ წელს რესპუბლიკაში წარმოებს 30-40 არქიტექტურული ძეგლის შესწავლა და რესტავრაცია.

უკანასკნელ წლებში რესტავრირებულ იქნა სხალთის, რუისის, ატენისა და ანანურის უნიკალური არქიტექტურული ძეგლები. წარმოებს გეგუთის ციხის გასამაგრებელ-სარესტავრაციო სამუშაოები, ბაგრატის ციხის აღდგენა. თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით გვიანდელი დანაშენისაგან განთავისუფლდა და ახლა თავდაპირველი ფორმა მიეცა ანჩისხატის ტაძარს, ლურჯ მონასტერს, მეტეხის ციხესა და როსტომის სასახლეს. შესრულებულია მუშაობა ძეგლის მოხატულობის რესტავრაციისათვის გელათსა და ვარძიაში.

მაგრამ, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ ბევრი ძეგლი ცუდი მოვლის გამო ინგრევა, ყველგან როდი უფრთხილდებიან მათ. დაასახელეს ისტორიულ ნაგებობათა მოუვლელობის ფაქტები. მაგალითად, 1952 წელს ონის რაიონის სოფელ უწერაში დაინგრა ცნობილი ტაძარი. მართალია, ასეთი ფაქტები თითო-ოროლაა, მაგრამ საქართველოს საზოგადოებრიობამ შეუნელებელი კონტროლი უნდა გაუწიოს ძველი კულტურის ძეგლებს, მუდმივი ზრუნვა გამოიჩინოს მათთვის, დაიცვას ნგრევისაგან.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ საქართველოში კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების შექმნა ხელს შეუწყობს იმას, რომ გაძლიერდეს მუშაობა კულტურულ ფასეულობათა დასაცავად. საზოგადოება თავის საქმიანობაში დაეყრდნობა მრავალრიცხოვან აქტივს, მშობლიური მხარის ისტორიული სიმდიდრის შესწავლის ენთუზიასტებს. ცნობილია ბევრი მაგალითი, რომ უბრალო საბჭოთა ადამიანების — სოფლის მეურნეობის მშრომელების, მოსამსახურეების, მოსწავლეების დახმარებით დაღუპვას გადარჩა კულტურის შესანიშნავი ნაწარმოებები. საზოგადოება აწარმოებს საგანმანათლებლო და პროპაგანდისტულ მუშაობას, შეაგროვებს სახსრებს ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმის გასაუმჯობესებლად. უნდა მოგვარდეს მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოცემა, მოეწყოს ლექციებისა და მოხსენებათა წაკითხვა, სპეციალური კინოფილმების ჩვენება.

საზოგადოებას დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ახალგაზრდობამ. ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს, მაგალითად, საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც სკოლასთან ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შექმნეს. პიონერებმა და მოსწავლეებმა უნდა იკისრონ ისტორიული ძეგლების შეფობა, დაიცვან და გაუფრთხილდნენ მათ. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოეწყობა კულტურის ძეგლთა დაცვის ერთთვიური.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს უფროსმა კ. სოხაძემ წაიკითხა მიმართვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, რომლითაც თხოვს მიიღოს სპეციალური კანონმდებლობა კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ.

ყრილობის დელეგატებმა განიხილეს და მიიღეს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდება.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. დოლიძემ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. კუჩავამ.

* * *

არჩეულია კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო 51 კაცის შემადგენლობით და პრეზიდიუმი 11 კაცის რაოდენობით, აგრეთვე სარევიზიო კომისია. საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. კუჩავა. (საქინფი).

ყოველი მხრიდან

ა. ი. მიქოიანი შეხვდება პრეზიდენტ ეიზენჰაუერს

პირველი ხიდი დედამიწასა და ცის სხეულებს შორის

გამარჯვებულ კუბაზე მკვიდრდება ნორმალური ცხოვრება

კაცობრიობის გენიის გამარჯვება

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საქდესი). ამერიკის პრესა განაგრძობს საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვების კომენტირებას, რომელიც მზის სისტემის პირველი ხელოვნური პლანეტა გახდა. პრესა აღიარებს, რომ საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ახალი ბრწყინვალე წარმატება, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საპლანეტთაშორისო სივრცეში ადამიანის მომავალი მოგზაურობისათვის. გაზეთები „ნიუ-იორკ პოსტი“ და „ნიუ-იორკ ჟორნელ-ამერიკენი“ 5 იანვარს დიდრონი სათაურებით ბეჭდავენ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობას მოსკოვიდან, რომელშიც მოყვანილია კოსმოსური რაკეტის გაფრენის დაწვრილებითი ცნობები. რაკეტა, ნათქვამია ცნობაში, გადის ორბიტზე მზის გარშემო, რაც მოასწავებს „ადამიანის მიერ საპლანეტთაშორისო სივრცის უდიდეს დაპყრობას“.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მეცნიერი მიმომხილველი ჯონ ბარბორი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ შეასრულა მისთვის დაკისრებული მეცნიერული ამოცანა. „მან საბჭოთა მეცნიერებს მისცა, — წერს ბარბორი, — საპლანეტთაშორისო სივრცის სურათი“. მიმომხილველს მოჰყავს ამერიკელი მეცნიერის ჰერბერტ ფრიდმანის აზრი, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა მის მიერ მიცემულ ინტერვიუში, რომ კოსმოსური რაკეტის გაშვება „ამტკიცებს რუსების უდიდეს უნარს მართონ საპლანეტთაშორისო ხომალდი“.

გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ 6 იანვრის ნომრებში პირველ გვერდზე აქვეყნებენ თავიანთ მოსკოველ კორესპონდენტთა ცნობებს, რომელთაც მოჰყავთ უკანასკნელი ცნობები საპლანეტთაშორისო სივრცეში კოსმოსური რაკეტის მოძრაობის შესახებ. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში აღიარებს რომ ამერიკის შეერთებული შტატები „შესამჩნევად ჩამორჩნენ“ საბჭოთა კავშირს რაკეტული ტექნიკის დარგში. ასეთივე აღიარება არის გაზეთ „დეილი ნიუსის“ სარედაქციო სტატიაში, რომელიც კოსმოსური რაკეტის გაშვებას უწოდებს „უდიდეს მეცნიერულ მიღწევას“.

უცხოეთის პრესის გამოხმაურება საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვების შესახებ

◆

ლონდონი, 6 იანვარი. (საქდესი). გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ დღეს მოათავსა თავისი მეცნიერი მიმომხილველის ა. სმიტის სტატია, რომლითაც ავტორი აღტაცებას გამოთქვამს კოსმოსური რაკეტის გაშვებისას საბჭოთა მეცნიერების მიერ მიღწეული სიზუსტის გამო. „მანძილი 4.660 მილი რაკეტასა და მთვარეს შორის, როცა ისინი მეტად ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, — წერს ავტორი, — ეს, როგორც ჩანს, თითქმის ზუსტად ის არის, რისი ვარაუდიც რუს რაკეტმშენებლებს ჰქონდათ“.

„რაკეტის გაფრენა მთვარიდან მეტად მცირე მანძილზე უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე რაკეტის დაშვება მთვარეზე, — განაგრძობს სმიტი, — რადგან ამ შემთხვევაში გაზომვა შეიძლება ვაწარმოოთ მთვარესთან რაკეტის მიახლოების მომენტში და მთვარის რაიონიდან მისი გაფრენის მომენტში, მაშინ, როცა მთვარესთან რაკეტის უშუალო შეხება შეწყვეტდა ცნობების შეგროვებას და სარგებლობას არ მოიტანდა“.

„მთელი მსოფლიოს მეცნიერებს მიაჩნიათ, — წერს დასასრულ სტატიის ავტორი, — რომ გაშვების შედეგები საუცხოოა“.

კოლომბო, 6 იანვარი. (საქდესი.) საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების კოლექტივის უდიდესი მიღწევა, რომლებმაც წარმატებით გაუშვეს კოსმოსში პირველი რაკეტა, ცეილონის საზოგადოებრიობას მიაჩნია კაცობრიობის გენიის ახალ უდიდეს გამარჯვებად ბუნების ძალებზე.

სსრ კავშირის კოლომბოს საელჩოს სახელზე მიღებულია ბევრი დეპეშა — გულითადი მილოცვები საბჭოთა მეცნიერებისადმი, რომლებმაც მეცნიერული გმირობა მოახდინეს.

პრესაში გამოქვეყნდა მათემატიკის პროფესორის ჩ. ჯ. ეიეზერის განცხადება. იგი წერს, რომ, რადგან დედამიწასა და მთვარეს შორის დიდი მანძილია, რაკეტის გავლა თუნდაც 50 ათას მილზე მთვარისაგან, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ის, რომ რუსულმა რაკეტამ მხოლოდ 5 ათას მილზე გაუარა მთვარეს, ახალ წარმატებას მოწმობს გეგმების კონტროლის ტექნიკაში, რომელიც საბჭოთა მეცნიერებმა შექმნეს.

ჰააგა, 5 იანვარი. (საქდესი). გაზეთები დიდრონი სათაურებით პირველ გვერდზე ბეჭდავენ დაწვრილებით ცნობებს საბჭოთა კოსმოსური რაკეტისა და მისი გაფრენის შესახებ, აგრეთვე უცხოეთის გამოხმაურებას ამ ისტორიული მოვლენის გამო.

კათოლიკური გაზეთი „დე მაასბოდე“ სარედაქციო სტატიაში წერს: „არ შეიძლება უღრმესი აღტაცება არ გამოიწვიოს წარმატებამ, რომელსაც საბჭოთა კავშირმა ამ რაკეტის გაშვების შედეგად მიაღწია. ქვეყანამ. რომელიც 40 წლის წინათ ქაოსის მდგომარეობაში იყო, ამერიკას გაუსწრო კოსმოსის სივრცის დაპყრობაში, მიუხედავად ყველა ღონისძიებისა, რაც ამერიკელებმა განახორციელეს 1957 წლის 4 ოქტომბრის შემდეგ, ესე იგი დედამიწის პირველი თანამგზავრის გაშვების შემდეგ“.

მოკლე ცნობები

◆ **ჟენევა.** 5 იანვარს ორი კვირის შეწყვეტის შემდეგ, მუშაობა განაახლა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა თათბირმა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

◆ **კაირო.** 5 იანვარს კაიროში ლიბანის პრემიერ-მინისტრ რაშიდ ქარამეს თავმჯდომარეობით გაიხსნა არაბთა ქვეყნების ლიგის ეკონომიური საბჭოს მე-5 სესია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის, ლიბანის, იორდანიის, საუდის არაბეთისა და იემენის დელეგაციები. არაბთა სხვა ქვეყნები — ლიბია, სუდანი, კუვეიტი და მაროკო საბჭოს სესიაზე წარმოდგენილი არიან მეთვალყურეებით. სესიის მუშაობაში მონაწილეობას არ იღებენ ტუნისი, ბაჰრეინის კუნძულები და კატარი.

◆ **კაირო.** როგორც გაზეთი „ალაჰრამი“ წერს დადგენილია, რომ საიდუმლო რადიოსადგური, რომელიც თავისთავს „რეფორმის ხმას“ უწოდებს და რომელიც ძირგამომთხრელ პროპაგანდას ეწევა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ თურქეთის ქალაქ ადანის რაიონშია, სადაც ამერიკის უდიდესი სამხედრო ბაზა მდებარეობს.

უცხოეთის პრესა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ჩასვლის შესახებ

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საქდესი). ამერიკის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის ყოფნას ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაზეთები დაწვრილებით იუწყებიან ა. ი. მიქოიანის შეხვედრას სენატორ ჰემფრისთან, სახელმწიფო მდივან დალესთან, მოჰყავთ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესის საკითხთა წარმომადგენლის უაიტის განცხადება იმის შესახებ, რომ „საუბარი (ა. ი. მიქოიანისა დალესთან. — რედ.) მეტად სასარგებლო იყო, როგორც მომზადება მომავალი მოლაპარაკებისათვის“, იუწყებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის მოგზაურობის გეგმებს.

გაზეთების უმრავლესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ყოფნას უკავშირებს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობას, კერძოდ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობას.

დელი, 6 იანვარი. (საქდესი). ა. ი. მიქოიანის გამგზავრებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ინტერესი გამოიწვია ინდოეთის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში. გაზეთები დაწვრილებით ცნობებს აქვეყნებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ყოფნის შესახებ და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ მოგზაურობას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით.

ეხება რა ა. ი. მიქოიანის შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან დალესთან, გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ სარედაქციო კომენტარებში წერს: ამ დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკების შედეგი თანაბრად დამოკიდებული იქნება როგორც იმ წინადადებებზე, რომლებიც შეუძლია ხრუშჩოვს წამოაყენოს, ისე მათ შესახებ დალესის რეაქციაზე. მაგრამ მოსკოვმა გამოიჩინა ინიციატივა და ვაშინგტონმა უფრო გულმოდგინედ უნდა მიუგდოს ყური, ვიდრე ამას სჩადიოდა უკანასკნელ დროს. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოთქვა მზადყოფნა შეხვდეს მიქოიანს, და უნდა მივესალმოთ პრეზიდენტის ჟესტს როგორც მდგომარეობის უფრო ფხიზელი და რეალისტური შეფასების ნიშანს.

ქაბულის უნივერსიტეტს გადაეცა კ. ე. ვოროშილოვის საჩუქარი

ქაბული, 6 იანვარი. (საქდესი). 1958 წლის ოქტომბერში ავღანეთში მეგობრული ვიზიტით ყოფნის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ქაბულის უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა 1500 ტომი მეცნიერულ-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე.

დღეს ქაბულის უნივერსიტეტის რექტორატის შენობაში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის საჩუქრის გადაცემის ცერემონია.

სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ავღანეთში მ. ა. ბოგაჩოვმა და ქაბულის უნივერსიტეტის რექტორმა მ. ასგარმა სიტყვები წარმოთქვეს, რომლებშიც მათ გამოთქვეს რწმენა, რომ სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის არსებული კულტურული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება. ქაბულის უნივერსიტეტის რექტორმა სთხოვა გადასცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვსა და საბჭოთა მთავრობას უნივერსიტეტის მასწავლებელთა და სტუდენტთა პირადი მადლობა.

მეტალურგთა ღამის სანატორიუმში

პირველი დამსვენებელი, რომელიც შეგვხვდა სანატორიუმში შესვლისას, გახლდათ საგლინავი საამქროს ამწეს მემანქანე ლიუდმილა კუზუბი. იგი 4 წელია ამ საამქროში მუშაობს. ენერგიული და საქმისმოყვარული გოგონაა. ამ უკანასკნელად ოდნავი ავადმყოფობა შემოეპარა.

— როდესაც საექიმო კომისიამ ამ სანატორიუმში მკურნალობა მირჩია, — ამბობს ლიუდმილა, — ხელი ჩავიქნიე და ვთქვი, რომ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა. მაგრამ თურმე ვცდებოდი. აქ შესანიშნავი პირობებია. სანატორიუმის მომსახურე პერსონალი თავს დაგვტრიალებს. ვმკურნალობთ კიდეც. თავს თანდათანობით კარგად ვგრძნობ, მუშაობითაც გაცილებით უკეთ ვმუშაობ.

მეტალურგთა ღამის სანატორიუმი რუსთავში გასული წლის 3 აპრილს გაიხსნა. ის მოთავსებულია ერთ-ერთ ულამაზეს, კომფორტაბელურად მოწყობილ შენობაში. დამსვენებლები მოდიან აქ საექიმო კომისიის დასკვნით. დასვენებისა და მკურნალობის ვადა 24 დღით განისაზღვრება.

აქ შექმნილია ყველა პირობა კულტურული დასვენებისათვის. ყველა ოთახშია ხმამაღლა მოლაპარაკე, საერთო დარბაზში — ტელევიზორი, ჟურნალ-გაზეთები. აქვე სპეციალურ ოთახებში დამსვენებლები ერთობიან მაგიდის ჩოგბურთით, ჭადრაკით, დომინოთი. სანატორიუმის ეზოში მოწყობილია სასპორტო მოედანი, სადაც დამსვენებლები ხელბურთის თამაშით იკაჟებენ ორგანიზმს.

დამსვენებლები ორგანიზებულად ესწრებიან კინოსეანსებს და სპექტაკლებს, ეწყობა ექსკურსიები ქალაქისა და ქალაქგარეთა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

• • •

სურათზე: დამსვენებელთა ერთი ჯგუფი.

ჩეხი ექიმები სოხუმში

სოხუმი, 6 იანვარი. (საქდესი). რამდენიმე დღეს იყო სტუმრად სოხუმში ექიმთა ჯგუფი ჩეხოსლოვაკიიდან. ჯგუფში შედიოდნენ ვ. სმერჩანსკი, მ. შნორერი, ი. გოლფი და სხვები. ჩეხი ექიმები არიან ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ქირურგიის ლაბორატორიისა და ქალაქ პრატისლავის მეორე ქირურგიული კლინიკის მეცნიერი თანამშრომლები. მათ აკადემიკოს კ. შიშკას ხელმძღვანელობით გამოიგონეს ხელოვნური სისხლის მიმოქცევის სპეციალური აპარატი.

საბჭოთა მედიცინის მუშაკებთან მუშაობის გამოცდილების გაზიარების დროს ჩეხმა მეგობრებმა მათ გააცნეს ბევრი ახალი მიღწევა.

მდგომარეობა კუბაზე

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საქდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები და პრესა იუწყებიან, კუბაზე ეწყობა ნორმალური ცხოვრება. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ჰავანიდან იუწყება რომ იქ კვლავ გაიხსნა მაღაზიები, მუშაობას იწყებს საქალაქო ტრანსპორტი, იღება სამრეწველო საწარმოები.

კუბის მთავრობამ, რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტი მანუელ ურუტია, ოფიციალურად მიმართა მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებს, თხოვნით კუბის ახალი მთავრობის როგორც კუბის რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი მთავრობის ცნობის შესახებ. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კარაკასიდან იუწყება, რომ ვენესუელამ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი ცნობს კუბის ახალ მთავრობას.

ამერიკის პრესამ, განიხილავს რა კუბის ახალი მთავრობის ცნობის პერსპექტივებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ და ცდილობს რა ზეგავლენა მოახდინოს მასზე, ხმაური ატეხა კუბის ეგრეთწოდებულ „საერთაშორისო ვალდებულებათა“ საკითხის გარშემო, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები უწინარეს ყოვლისა შეშფოთებული არიან კუბაზე ამერიკის კაპიტალდაბანდებათა ბედით.

პარიზი, 6 იანვარი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ქალაქ მეხიკოდან იუწყება, გუშინ საღამოს მექსიკის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მან ცნო კუბის ახალი მთავრობა პრეზიდენტ მანუელ ურუტიას მეთაურობით.

XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის წინ

ხვალ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნება XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალი. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ გროსმაისტერთა და ახალგაზრდა ნიჭიერ ოსტატთა საინტერესო ბრძოლის დასაწყისი. შეჯიბრებაში მონაწილეთა უმრავლესობის ჩამოსვლას მოელიან დღეს და ხვალ, ხოლო ზოგიერთნი, მათ შორის გროსმაისტერები ტ. პეტროსიანი და ვ. კორჩნოი, აგრეთვე ოსტატები ი. იუხტმანი, ა. ლუტიკოვი და ბ. გურგენიძე თბილისში იმყოფებიან. ჩამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საჭადრაკო განყოფილების უფროსი ლ. აბრამოვი.

გუშინ ჩვენმა კორესპონდენტმა გროსმაისტერ ტ. პეტროსიანს და ოსტატ ბ. გურგენიძეს მიმართა თხოვნით გამოეთქვათ თავიანთი აზრი XXVI საჭადრაკო ჩემპიონატის შესახებ.

* * *

— ყოველი ჩემპიონატი, მათ შორის XXVI პირველობა, — ამბობს **ტ. პეტროსიანი**, — საბჭოთა გროსმაისტერებისა და პირველ რიგში ახალგაზრდა ოსტატების ძალთა შემოწმების დიდ სკოლას წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის საპატიო წოდებისა და მომდევნო საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად გაშლილი ასპარეზობა შეუპოვარი და საინტერესო იქნება. რამდენადაც გაგებული მაქვს, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიოს ექსჩემპიონი გროსმაისტერი ვ. სმისლოვი, რაც უთუოდ საწყენია.

ჩვენ, მოჭადრაკეთა შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, საქმე გვექნება არა მარტო ერთმანეთთან, არამედ ახალგაზრდა, კარგი მომავლის მქონე ოსტატებთან.

ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის მომზადებული თვითეული ჩვენგანი არა მარტო თეორიულად, არამედ ფიზიკურადაც. ეჭვს გარეშეა, ჩემპიონატის პარტიების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალსაჩინო სიახლეს შეიტანს საჭადრაკო ხელოვნებაში.

თუ ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი ჭადრაკში, ან როგორ წარიმართება ბრძოლა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. გაიმარჯვებს ის, ვინც ასეთი ასპარეზობისათვის სრულყოფილად არის მომზადებული.

* * *

— საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობა — განაცხადა ოსტატმა **ბ. გურგენიძემ**, — ყოველ მოჭადრაკეს დიდ გამოცდილებას მატებს. მაგრამ ასეთ ჩემპიონატში საპატიო ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლისათვის მარტო გამოცდილება როდი კმარა. საჭიროა სიახლეთა ძიება, შეუპოვრობა, გამძლეობა.

ამ შეჯიბრებამდე მე ზედიზედ რამდენიმე ტურნირში მივიღე მონაწილეობა. XXVI ჩემპიონატის ფინალს ახალი ენერგიით ვხვდები და, როგორც იტყვიან, მწყურია თამაში.

ვეცდები გავამართლო გულშემატკივართა იმედები, დავიცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება.

◆



პლანეტთა სისტემის სქემა მერკურის, ვენერის, დედამიწისა და მარსის ორბიტებით. პუნქტირით ნაჩვენებია საბჭოთა ხელოვნური პლანეტის ორბიტა.

მზესთან ყველაზე ახლო წერტილს ხელოვნური პლანეტა მიაღწევს 1959 წლის 14 იანვარს და ამ მომენტში მისგან დაახლოებით 146,4 მილიონ კილომეტრ მანძილზე იქნება. ყველაზე დიდ სიშორეს მზისაგან — 197,2 მილიონ კილომეტრს ხელოვნური პლანეტა მიაღწევს 1959 წლის სექტემბერში. სქემაზე ნაჩვენებია დედამიწის მდგომარეობა ამა წლის სექტემბერში.

საბჭოთა კოსმოსური რაკეტის ტრიუმფალური ფრენა

საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

◆

საბჭოთა და უცხოეთის პრესის მრავალი წარმომადგენელი შეიკრიბა 6 იანვარს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში პრეს-კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა თანამედროვეობის უდიდეს მოვლენას — საბჭოთა კოსმოსური რაკეტის ტრიუმფალურ ფრენას.

პრეს-კონფერენცია მოიწვიეს უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ. თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა განაცხადა:

პირველი საბჭოთა ხელოვნური პლანეტის გაფრენით დაიწყო საპლანეტთაშორისო მიმოსვლის ერა. ბუნებრივია, რომ ახლა დედამიწაზე ყველა ადამიანის ყურადღება მიპყრობილია ამისადმი. პრესის წარმომადგენელთა სურვილის დასაკმაყოფილებლად მოვაწყვეთ ეს კონფერენცია.

უწინარეს ყოვლისა მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, ვამაყობთ იმით, რომ დედამიწის მიზიდულობის ძალის დაძლევა, პლანეტათშორის სივრცეში პირველი გაფრენის განხორციელება პირველად შეძლო რაკეტამ, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა შექმნეს. ჩვენთვის ეს მეცნიერებისა და ტექნიკის თავისუფალი განვითარების კანონზომიერი შედეგია სოციალიზმის პირობებში, როცა ადამიანის ტალანტსა და გენიას უსაზღვრო გაქანება ეძლევა.

როცა 1957 წლის 4 ოქტომბერს წარმატებით გავუშვით და გათვალისწინებული ორბიტით გაფრინდა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ზოგიერთმა „კრიტიკოსმა“, როგორც გახსოვთ, განაგრძო მეცნიერმა, სცადა ემტკიცებინა, რომ ეს მხოლოდ ცალკეული რეკორდია ჩამორჩენილი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ფონზე. ძალიან მალე მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა, რომ ეს სულაც არ იყო ასე. დედამიწის პირველმა თანამგზავრმა თავისი კაშკაშა ბრწყინვით გაფანტა ნისლი მონაჭორისა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ჩამორჩენის შესახებ. დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები უდიდესი ეტალონი გახდნენ მეცნიერული მიღწევების შეფასების დროს. ახლა მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ჩვენი ხალხის წარმატებას, ხალხისა, რომელმაც შექმნა აპარატი, რომელმაც დაძლია დედამიწის მიზიდულობა და პირველი ხიდი გადო დედამიწასა და ცის სხეულებს შორის.

მოსკოვში მიღებულია მრავალი მისალმება მთელი მსოფლიოს მეცნიერების უდიდეს მოღვაწეთაგან, საზოგადო მოღვაწეთაგან, სახელმწიფოების მეთაურთა და უბრალო ადამიანთაგან. ჩვენი კეთილმოსურნენი, ამბობს აკადემიკოსი, წერენ, რომ საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება „ყველაზე გაბედული წამოწყება იყო, რომელიც კი ოდესმე ჩაუფიქრია და განუხორციელებია კაცობრიობას“.

მზის სისტემის ხელოვნურ პლანეტაში, რომელმაც დაიწყო თავისი მუდმივი გზა მეცნიერების მიერ გათვალისწინებული ორბიტით დედამიწასა და მარსს შორის, განაგრძო აკადემიკოსმა ტოპჩიევმა, აკუმულირებულია მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთი დარგების ყველაზე უახლესი მიღწევები, როგორიცაა რადიოტექნიკა, ტელემართვა, გამოთვლითი ტექნიკა, მეტალურგია, ქიმია, ნახევარგამტართა ტექნიკა, თბოტექნიკა, ავტომატიკა, რადიოფიზიკა და სხვები.

გამოიკვლიეს რა დედამიწის მაგნიტური ველი, კოსმოსური გამოსხივების ნაკადები და დაადგინეს რა მზის პროცესებთან მათი ვარიაციების კავშირი, მეცნიერებმა დაინახეს, რომ დედამიწის ატმოსფეროს, განსაკუთრებით მის ზედა შრეებს, არსებითი დაბრკოლება შეაქვს ხელსაწყოთა ჩვენებაში. დედამიწის გარშემო მბრუნავ დამუხტულ ნაწილაკთა დიდი კონცენტრაცია დედამიწის მაგნიტურ ველში ნიღბავს მზის კორპუსკულარული გამოსხივების ნაკადებს, აძნელებს კოსმოსური სხივების ნაკადების მაგარი ფოტონების შესწავლას. აი ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განხორციელებულიყო კოსმოსური რაკეტის გაშვება, რომელიც მთლიანად დაძლევდა დედამიწის მიზიდულობას და გავიდოდა პლანეტათშორის სივრცეში.

დედამიწისა და ცის სხვა სხეულთა მაგნიტური ველის წარმოშობის საიდუმლოს გამოსაცნობად დიდ ინტერესს წარმოადგენს დაკვირვება მთვარის მაგნიტურ ველზე, მთვარისა, რომელსაც დედამიწისაგან განსხვავებით, როგორც ფიქრობენ, არა აქვს მაღალტემპერატურიანი ბირთვი. მომავალი საპლანეტთაშორისო მოგზაურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი რადიოაქტიურობის გამოკვლევას. ამიტომ, გადაწყვიტეს რა განეხორციელებინათ კოსმოსური რაკეტის გაშვება პლანეტათაშორის სივრცეში, მეცნიერებმა დასახეს მისი ტრასა, რომელიც ახლო გადის მთვარესთან.

ამჟამად კოსმოსური რაკეტა 800 ათას კილომეტრზე მეტ მანძილზე დაშორდა დედამიწას და თითქმის 500 ათას კილომეტრზე მთვარეს. ამრიგად, კოსმოსური რაკეტა პრაქტიკულად უკვე გავიდა პირველი ხელოვნური პლანეტის თავის ელიფსურ ორბიტაზე, რომელიც დედამიწას დაშორებულია მარსისაკენ.

აკადემიკოსმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კოსმოსური რაკეტის წინაშე დასახული ამოცანები მთლიანად შესრულებულია. ცნობებს, რომლებიც მიიღო მისმა მრავალმა ხელსაწყომ, რომლებიც უნაკლოდ მუშაობდნენ მთელი დროის განმავლობაში, ამჟამად ანალიზს უკეთებენ და ამუშავებენ.

— ფრიად დამახასიათებელია, — თქვა დასასრულ აკადემიკოსმა ტოპჩიევმა, — რომ მეცნიერებმა, ინჟინრებმა, მუშებმა და მთელმა კოლექტივმა, რომელიც მონაწილეობდა კოსმოსური რაკეტის შექმნასა და გაშვებაში, თავისი ეს შრომითი და შემოქმედებითი გმირობა მიუძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

სიტყვა ეძლევა აკადემიკოს ა. ა. ბლაგონრავოვს. იგი ეხება საბჭოთა რაკეტული ტექნიკის განვითარების ზოგიერთ საკითხს, ტექნიკისა, რომელმაც უკანასკნელ ხანს დიდ სრულყოფას მიაღწია. მეცნიერებმა ინჟინრებს დავუსახეთ ამოცანა, ამბობს ის, გავეყვანეთ სივრცეში, თავისუფალ კოსმოსურ სივრცეში. ბუნებრივია, რომ მეცნიერთა თვალი პირველ რიგში მიეპყრო ცის უახლოეს სხეულს — მთვარეს. გვინდოდა გაგვეშუქებინა ისეთი საკითხები, როგორიცაა მაგნიტური ველის ინტენსივობა, არის თუ არა რადიოაქტიურობა მთვარეზე და სხვ. ეს ამოცანები ადვილი როდია. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ის, თუ საით გაგვეგზავნა რაკეტა. გადაწყდა, რომ რაკეტას გაევლო უშუალოდ ახლოს მთვარესთან. ამ ამოცანის სიძნელე უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ საჭირო იყო გაანგარიშების აბსოლუტური სიზუსტე. რა მოსდევს თუნდაც უმცირესად მინიმალურ უზუსტობას, ამბობს აკადემიკოსი ბლაგონრავოვი, ამას მოწმობს შეერთებული შტატების მთვარის რაკეტის მაგალითი. მისი სიჩქარე ორი პროცენტით ნაკლები აღმოჩნდა განგარიშებულზე. ცნობილია, თუ რით დამთავრდა ეს!

მინდა აღვნიშნო, განაგრძო მეცნიერმა, რომ რაც უფრო წინ მივდივართ, ტექნიკა მით უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება. ახლა არ არის ისეთი საზღვრები კოსმოსში, რომ საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას არ შეეძლოს მიღწევა.

მზის შესწავლაში ახალი მონაცემების შესახებ საინტერესო ცნობები აუწყა ჟურნალისტებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა კორესპონდენტმა ე. რ. მუსტელმა.

მზის შესწავლის დიდი მნიშვნელობა, თქვა მან, მკვეთრად გაიზარდა, როცა აღმოჩენილ იქნა მოკლე ტალღების რადიოკავშირი. იგი შესაძლებელია ატმოსფეროს ზედა შრეებში განლაგებული იონოსფეროს არსებობის მეოხებით. რადიოკავშირის დარღვევის მთავარი წყაროა კორპუსკულები, რომლებიც მზის ზედაპირიდან მოფრინავენ. ამიტომ მათს შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ შეგვიძლია წარმატებით ვიწინასწარმეტყველოთ მათი მეოხებით რადიოკავშირის დარღვევა, დავეხმაროთ სპეციალისტების მუშაობას ამ დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსკულები ქმნიან პოლარულ ციალს, მაგნიტურ ქარიშხალსა და სხვა მოვლენებს დედამიწის ატმოსფეროს ზედა შრეებში. დღემდე არ ხერხდებოდა ამ მოვლენათა თეორიის აგება, რადგან კორპუსკულების თვისებებს ამახინჯებენ დედამიწის ატმოსფერო და დედამიწის მაგნიტური ველი. ერთადერთი გამოსავალი ჩვენთვის ის გახდა, რომ კორპუსკულები შეგვესწავლა რაც შეიძლება უფრო შორს დედამიწისაგან ისეთი ხელსაწყოების საშუალებით, რომლებიც დაიდგმებოდა კოსმოსურ რაკეტებზე. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ისეთი დიდმნიშვნელოვანი ცნობები, როგორიცაა არის კორპუსკულების რაოდენობა ერთ კვადრატულ სანტიმეტრში. სწორედ ამაზეა დამოკიდებული მთელი თეორიის უტყუარობა. გარდა ამისა, კორპუსკულები ცარიელ სივრცეში კი არ მიდიან, არამედ გადიან პლანეტათშორის გარემოს. მაშასადამე, კორპუსკულების ქცევის შესწავლისათვის საჭიროა შევისწავლოთ თვით გაზები, რომლებითაც სავსეა ეს სივრცე. ეს ამოცანაც კოსმოსური რაკეტის საშუალებით წყდებოდა. პლანეტათშორისი გაზის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს კოსმოგონიისათვის — მეცნიერებისათვის პლანეტებისა და ვარსკვლავების წარმოშობის შესახებ.

გამოდის პროფესორი ბ. ვ. კუკარკინი. პირველი კოსმოსური რაკეტის შექმნა, ამბობს იგი, მისი გაშვება და გათვალისწინებულ ორბიტაზე გასვლა — ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ იწყება ახალი ერა ასტრონომიაში, რომ ასტრონომია — დაკვირვებითი მეცნიერება, ექსპერიმენტული მეცნიერება გახდა. ჩვენ, ასტრონომები დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი შვიდწლედი ბევრ ახალ რამეს მოგვიტანს როგორც ასტრონომიაზე უშუალოდ მუშაობის, ისე ცის სხეულების შესწავლის სულ ახალ ტექნიკურ შესაძლებლობათა გამოყენების მხრივ.

პრეს-კონფერენციის მონაწილე ჟურნალისტებმა ბევრი შეკითხვა მისცეს საბჭოთა მეცნიერებს. მათ შორის:

კითხვა: რა ნავარაუდევი სიჩქარით შეუძლია იმოძრაოს რაკეტამ მზის სისტემაში?

პასუხი: ხელოვნური პლანეტის მიმოქცევის პერიოდია 15 თვე. მისი ტრაექტორია (მაქსიმალური მზისაგან) 197,2 მილიონი კილომეტრია, მინიმალური — 146,4.

კითხვა: იქნება თუ არა რაიმე ცვლილება?

პასუხი: თუ პლანეტა რაიმე სხეულს არ დაეჯახა ტრაექტორიის შეცვლა არ მოხდება.

კითხვა: გრძელდება თუ არა რაკეტაზე პირდაპირი დაკვირვება იმ პერიოდში, რომელიც დაიწყო მასთან რადიოკავშირის დარღვევის შემდეგ, და როგორ ხდება ეს დაკვირვება?

პასუხი: ამჟამად რაკეტა ისე შორს წავიდა, რომ ოპტიკური საშუალებებით პრაქტიკულად დაკვირვება აღარ შეიძლება.

კითხვა: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ ეს ახალი. რაკეტების გაშვების გენერალური რეპეტიციაა?

პასუხი: ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით.

კითხვა: გაფრენილა თუ არა ადამიანი რაკეტით მცირე მანძილზე.

პასუხი: ჯერ ადამიანს რაკეტით არ უფრენია.

კორესპონდენტებმა მიიღეს აგრეთვე პასუხი მათთვის საინტერესო კითხვებზე კოსმოსური სივრცის მეცნიერული კვლევის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ. (საქდესი).

◆

მუშსოფლკორთა კაბინეტი

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 8 იანვარს დღის 4 საათზე თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში აწყობს მუშკორთა და კომბინატის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა თათბირს თემაზე: „მზადება სკკპ XXI ყრილობის შესახვედრად და მუშკორთა ამოცანები“.

* * *

9 იანვარს საღამოს 6 საათზე ხობის რაიონის ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კლუბში მოწვეულია ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მუშსოფლკორთა და კედლის გაზეთების რედკოლეგიების წევრთა თათბირი თემაზე: „სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების საკითხების გაშუქება პრესაში და მუშსოფლკორთა ამოცანები“.

* * *

კაბინეტში ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე ეწყობა კონსულტაციები ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა დასახმარებლად.

რედაქტორი
დ. მედლიშვილი.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1959 წ. 20 იანვარს დღის 1 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად ალექსანდრე პავლეს-ძე სტეკლოვი დაიცავს დისერტაციას თემაზე „Революционное движение в войсках на Кавказе в период 1905-1907 годов“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

ეე 01106

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.